ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 11 ოქტომბერი 2007 №235 (3158) ფასი 50 თეთრი


# ოლიმპიური კომიტეტი შეუვალია: ჩვენი პრეზიდენტი ბადრი პატარკაციშვილია!



ბექა კეთილაძის ფოტო

გუშინწინ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის საგანგებო და სასწრაფოდ მოწვეულ სხდომაზე სეოკ-ის პრეზიდენტ ბადრი პატარკაციშვილს უფლებამოსილება შეუჩერეს.

ამ გადაწყვეტილებას, რომლის მიზეზიცა და საფუძველიც, თურმე სპორტის სხვადასხვა სახეობათა ფედერაციების მოთხოვნა ყოფილა, მოწინააღმდეგენი და კრიტიკოსები სხდომის მსვლელობისა და მისი დასრულებისთანავე გამოუჩნდნენ.

გუშინ კი სეოკ-ის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა ლერი ხაბელოვმა და იურიდიულმა კომიტეტმა გააკეთეს განცხადება იმის თაობაზე, რომ 9 ოქტომბრის სხდომა სეოკ-ის დებულებისა და რეგლამენტის დარღვევებით ჩატარდა (19 ხმა საკმარისი არ იყო) და აქედან გამომდინარე, გადაწყვეტილება ბადრი პატარკაციშვილისთვის უფლებამოსილების შეჩერების შესახებ არალეგიტიმურია.

აღნიშნულთან დაკავშირებით ინფორმაცია მიეწოდა საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს და როგორი იქნება ჟაკ როგის ყოვლისშემძლე უწყების რეაქცია, ძნელი სათქმელია.



# ტოპმიოლერს ტრავმები არა და არ ეშვება

## ითამაშებენ ასათიანი, მენთეშაშვილი და ჯაკობია?

საქართველოს ნაკრები იტალიაშია და მსოფლიოს ჩემპიონთან მოახლოებული ევროშესარჩევი მატჩისთვის ემზადება.

კლაუს ტოპმიოლერის გუნდი გუშინდლიდან სრული შემადგენლობითაა, თუმცა მთელი დატვირთვით მაინც ვერ ვარჯიშობს გუნდის ერთ-ერთი ლიდერი მალხაზ ასათიანი, ვინც გენუაში ტრავმით ჩავიდა.

ასათიანმა გუშინ ინდივიდუალურად ივარჯიშა და ასევე მოიქცნენ ზურაბ მენთეშაშვილი და ლაშა ჯაკობიაც. ეს სამეული ალბათ დღეიდან შეუერთდება დანარჩენებს, ყოველ შემთხვევაში, ექიმებს იმედი აქვთ, რომ მათ საშიში არაფერი სჭირთ.

და ერთიც: გუშინ დაბადების დღე ჰქონდა ლევან ცქიტიშვილს — საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი 31 წლის გახდა და მილოცვებიც მიიღო...



ლევან ცქიტიშვილი



საფფ-ის პრესსამსახური

# დავით გვარამაძე: იტალიასთან მოგება არარეალურად მიმაჩნია

საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში 30 წელს გადაცილებულ ფეხბურთელს ბევრს ვერ შეხვდებით, ერთ-ერთი ასეთი კი თბილისის „ლოკომოტივის" მეკარე დავით გვარამაძეა, რომელიც ბოლო ტურში „სარბიელის" სიმბოლურ ნაკრებშიც მოხვდა. გვარამაძეს ბევრი გამოუცდია კარიერაში, კარგახანს ნაკრების მთავარმეკარეც იყო და, ცხადია, სალაპარაკო ცოტა არ გვქონია. მოახლოვდა იტალიასთან და შოტლანდიასთან სანაკრებო მატჩები, დავითს ამაზეც ვკითხეთ და ზოგად თუ პირად საკითხებზეც...



2000 წელი. დავით გვარამაძეს ორივე პენალტი ალესანდრო დელ პიერომ გაუტანა

— შვიდი წლის წინ, 11 ოქტომბერს ანკონაში იტალიასთან შენ იცავდი საქართველოს ნაკრების კარს. მაშინ იტალიელებმა ორი მართლაც საეჭვო პენალტით 2:0 მოიგეს...

— წაგებული თამაშების გახსენება საშინლად არ მიყვარს... იმ მატჩში მარცხს ნამდვილად არ ვიმსახურებდით. გოლის გატანის რამდენიმე შანსი გვქონდა, შედეგზე კი დიდი გავლენა მსაჯის ორმა უხეშმა შეცდომამ იქონია — არც ერთი თერთმეტმეტრიანი დასანიშნი არ იყო.

— როგორ ფიქრობ, 13 ოქტომბერს იტალიელებთან რა შანსები აქვს ჩვენს ნაკრებს?

— რა შანსები უნდა ჰქონდეს?! ღმერთმა ქნას, ჩვენებმა მოიგონ, მაგრამ დღეს ეს არარეალურად მიმაჩნია.

— და მაშინდელმა ნაკრებმა რატომ ვერ მიაღწია რაიმე წარმატებას?

— წარმატების მიღწევა ასე ადვილი არ არის. ყველაფერს დრო და სწორი მუშაობა სჭირდება. მთავარი მიზეზი კი, ჩემი აზრით, სუსტი ჩემპიონატია. ეროვნულ პირველობას რომ მიეხედება, მერე შეიძლება შედეგზე ფიქრი.

— თუ ასეა, კონკრეტულად რა უნდა გაკეთდეს დონის ასამაღლებლად?

— ფეხბურთელს ნორმალური ვარჯიშის პირობები უნდა ჰქონდეს შექმნილი, საქმეს ყველა პროფესიულად უნდა მიუდგეს... ჩვენმა ფეხბურთმა რომ წინ წაიწიოს, ამისთვის, პირველ რიგში, ფინანსებია საჭირო.

— ერთხანს ტრავმის გამო ფეხბურთი მიატოვე, ახლა კი „ლოკომოტივში" თამაშობ. რამ გადაგაწყვეტინა დაბრუნება?

— ძნელია 29 წლის ასაკში ფეხბურთისთვის თავის დანებება, ტრავმა იმდენად აღარ მაწუხებს და გადავწყვიტე, საყვარელი საქმე გავაგრძელო. ორი წელი კიდევ ვაპირებ თამაშს და შემდეგ ვნახოთ...

— კარიერის დასრულების შემდეგ ფეხბურთში აპირებ საქმიანობის გაგრძელებას?

— მაგაზე ჯერ არ მიფიქრია. ყველაფერი ღვთის ნებაა და ვნახოთ...

— რამდენჯერმე საქართველოს ჩემპიონიც იყავი, ეროვნულ ნაკრებშიც გითამაშია. როგორ ფიქრობ, შეგეძლო, უკეთესი ფეხბურთი გეთამაშა?

— როგორ არ შემეძლო, მაგრამ ჩემს კარიერას სერიოზული დაღი გაუთავებელმა ტრავმებმა დაასვეს.

— საქართველოში ყოველთვის იდგა კარგი მეკარის პრობლემა. როგორ ფიქრობ, რისი ბრალია, წლების განმავლობაში ერთი სტაბილური მეკარეც რომ არ ჩანს?

— ისევ და ისევ ეროვნული ჩემპიონატის დონის. სათანადო ყურადღება არ ექცევა მათ აღზრდას. მეკარეებისთვის საგანგებო ვარჯიშებია საჭირო. არავინ მუშაობს მათ ფსიქოლოგიურ მომზადებაზე და პერსპექტიული ფეხბურთელები სადღაც ქრებიან.

— საინტერესოა, დამწყებ მეკარეებს რას ურჩევს ვეტერანი დავით გვარამაძე?

— შრომა, შრომა და შრომა. თუ თავი არ გაიწვალე და არ მოინდომე, ისე ვერანაირ შედეგს ვერ მიიღებ...

**ნუკრი ლოლაძე**

# ორჯერადების დღე: ასათიანი, მენთეშაშვილი და ჯაკობია ცალ-ცალკე

## ცქიტიშვილს 31 მიულოცეს

**საქართველოს** ეროვნული ნაკრები გენუას გარეუბან არეცანოში გამალებულ ვარჯიშებს შეუდგა. გუშინ პირველად იყო, კლაუს ტოპმიოლერმა საიტალიო მატჩისთვის ორი ორჯერადი ვარჯიში რომ ჩაატარა — თითოეულმა საათნახევარს გასტანა.

მოსკოვის ლოკომოტიველ მალხაზ ასათიანს გუშინწინ არ უვარჯიშია, გუშინ კი ცალკე ივარჯიშა. უბრალოდ, მწვრთნელებმა გართულებებს თავი აარიდეს, თორემ საშიში არაფერია და თუ რამ გაუთვალისწინებელი არ მოხდა, „ასკა" 13 ოქტომბერს ძირითად შემადგენლობაში ითამაშებს.

ცალკე ივარჯიშეს ზურაბ მენთეშაშვილმა და ლაშა ჯაკობიამაც. ლატვიური „ვენტსპილსის" ნახევარმცველს სამი დღის წინ თამაში ჰქონდა და გუშინ დასვენების საშუალება მისცეს, უკრაინული „მეტალისტის" ფორვარდს კი საზარდული წამოსტკივდა.

და ერთიც: გუშინ ლევან ცქიტიშვილს დაბადების დღე ჰქონდა — 31 წლის გახდა. ეროვნული ნაკრების მწვრთნელ-ფეხბურთელებმა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებმა ლევანს იუბილე მიულოცეს და იტალია-შოტლანდიასთან უახლოეს მატჩებში გამარჯვება უსურვეს.

**ილია ნანობაშვილი**

# ოლეგ ბლოხინი: თუ ვერ გავალთ, წავალ



**უკრაინის** ნაკრებმა ქართველებთან ევროშესარჩევის ორივე მატჩი მოითავა, თუმც მაინც საინტერესოა მათი მწვრთნელის, ოლეგ ბლოხინის სიტყვები — ჯგუფიდან თუ ვერ გავალთ, ნაკრებიდან წასასვლელად მზად ვარო.

„სანამ შანსები გვაქვს, ვიბრძოლებთ. რომც ვერ გავიდეთ, მომავალი შესარჩევისთვის რეიტინგში არ უნდა დავქვეითდეთ, რათა კენჭისყრაში ისევ საფრანგეთ-იტალიის დონის ნაკრებებთან არ მოვხვდეთ. უკვე ახალგაზრდული ნაკრებიდან ვეძახით ფეხბურთელებს, ანუ მომავლისთვის ვზრუნავთ. ერთი სიტყვით, თუ მეორეზე მაინც ვერ გავალთ ჯგუფში, მე განცხადებას დავწერ ნაკრებიდან წასვლაზე, ხოლო უკრაინის ფეხბურთის ფედერაცია დააკმაყოფილებს თუ არა, ეს სხვა საქმეა" — თქვა ბლოხინმა.

უკრაინელთა ჯგუფიდან გასვლის შანსები ძალიან ფერმკრთალია, ასე რომ, ბლოხინი თუ მართლაც წავა, ამაში საქართველოს ნაკრებისა და დავით სირაძის დიდი წვლილი იქნება.

**ილია ნანობაშვილი**

### საბერძნეთი

თასის I ეტაპი

ოლიმპიაკოსი 1:1 (5:6პ) ატრომიტოსი
ეთნიკოსი 1:0 ლევადიაკოსი
ეგალეო 1:2 ქსანთი
ფილისი 4:2 პაოკ
პრევეზა 1:2 ვერია
კალითეა 1:2 კალამარია

### ესპანეთი

თასის III ეტაპი

რეალ უნიონი 2:1 ოსპიტალეტი
ბურგოსი 2:0 პონფერადინა
დენია 3:1 პორტუენსე
ალბასეტე 0:2 ხერესი
ალკოიანო 1:1დ.დ. (4:2პ) რაიო
კადისი 2:3 გრანადა
ელჩე 2:1დ.დ. (1:1) ეიბარი
პონტევედრა 2:0 პუერტოლანო
ტალავერა 0:2 ალიკანტე
ერკულესი 2:1 ალავესი
ტენერიფე 1:2 მალაგა

### გერმანია

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა XIII ტური

დორტმუნდი (მ) 1:0 ლიუბეკი
ვერდერი (მ) 2:1 ემდენი

### ბელგია

II კლასი
გადადებული მატჩები

ლომელი 1:0 ვიგორი
კორტრაიკი 4:1 გეელი
ოლიმპიკი 0:1 ოუდ ჰევერლე

### ჩეხეთი

თასის IV ეტაპი

ხომუტოვი 0:3 ოლომოუცი
ფრიდეკი 1:2 იაბლონეცი
ფულნეკი 1:1დ.დ. (2:3პ) ლიბერეცი

### სლოვაკეთი

თასის III ეტაპი

დ. სტრედა 0:0 (2:4პ) არტმედია

# მამის ნაჭამმა ტყემალმა სპასოევიჩის U21 შეიწირა



საქართველოში ზამთარში ჩამოსულ ილია სპასოევიჩს ლეგიონერის კვალობაზე კი მივაქციეთ ყურადღება, მაგრამ მის თამაშზე კარგა ხანს სალაპარაკო ბევრიც არაფერი გვქონდა. დუშან უჰრინი ჩერნიგორიელს „დინამოს" სათადარიგოთა შორის ამყოფებდა და მოედანზე მცირე ხნით თუ უშვებდა. ახლა კი, დაიწყო ახალი სეზონი და, ჩვენს ეროვნულში ვინც არიან გამორჩეულნი, ერთი იმათგანი სპასოევიჩიცაა. ეროვნულის ხსენებაზე — ჩერნიგორიის ეროვნული ნაკრების კანდიდატს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი სათოფეზე არ იკარებს, არადა, სპასოევიჩი ახალგაზრდულის ასაკისაა...



## ილიამ იცის, რომ გული დასწყდება

— ქვეყნის ახალგაზრდულ გუნდში ერთი მიზეზის გამო არ ვარ გამოძახებული და მიწვევას არც ველოდი. საქმე ისაა, რომ ახალგაზრდული გუნდის მწვრთნელ დუშკო ვლაისავლევიჩის მწვრთნელი თავის დროზე მამაჩემი იყო და პრობლემები იქიდან დაიწყო. ახლა ვლაისავლევიჩი ახალგაზრდულის თავკაცია და, ასე ვთქვათ, მამაჩემს სამაგიეროს უხდის, ძველი ამბები ვერ დაუვიწყებია და ნაკრებში რომ არ მეძახის, ერთგვარად შურს იძიებს. თუმცა ახალგაზრდულ ნაკრებზე გული არ მწყდება, უკვე ვიცი, რომ ჩერნიგორიის ეროვნული გუნდის კანდიდატად ვითვლები და ცოტა ხანში ზორან ფილიპოვიჩი ნაკრებში გამომიძახებს. ამის თაობაზე ეროვნულის მწვრთნელმა ბევრჯერ თქვა, ის დაინტერესებულია ჩემი გამოძახებით.

— თუ ასეა, ფილიპოვიჩს ეგებ ახალგაზრდული ნაკრების თავკაცისთვისაც ეთქვა ორი სიტყვა და ჯერ თანატოლებთან გეთამაშა...

— ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, თავად ფილიპოვიჩი და თქვენი კოლეგები ხშირად ამბობენ ამის თაობაზე, მაგრამ პირადად მასთან საუბარს, სპასოევიჩს ნაკრებში რატომ არ ეძახით, ყველა გაურბის. არ სურთ, რომ ეს სალაპარაკო გახდეს და თქვან, ფედერაციის პრეზიდენტი თუ ეროვნულის მწვრთნელი ვლაისავლევიჩის საქმეში ერევიანო. მოკლედ, ახალგაზრდულ ნაკრებზე არ ვდარდობ, ჩემთვის ახლა მთავარია, „დინამოსთან" ერთად კიდევ უკეთესად მოვემზადო, საქართველოს ჩემპიონატში თავი გამოვიჩინო და მერე ეროვნულ გუნდში გამომიძახონ.

— ისე, როგორ ატყობ, საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ თამაშის ხარისხი გაიუმჯობესე?

— ცხადია, აშკარა პროგრესი მაქვს და ეს ჩემს შედეგიანობაზეც აისახება. ცუდი ფეხბურთელი, მგონი, არც „დინამოში" ჩამოსვლამდე ვიყავი, მაგრამ დუშან უჰრინისა და კახა კაჭარავას ხელში, ვფიქრობ, საგრძნობლად მოვუმატე.

— ნელ-ნელა კი „დინამოს" ძირითადშიც იმკვიდრებ ადგილს...

— ეს ძალიან მსიამოვნებს. „დინამოს" იანვარში შევუერთდი და წინა ჩემპიონატის მეორე წრე, ფაქტობრივად, სათადარიგოთა სკამზე გავატარე. უთამაშებლობა კი თავისთავად ფსიქიკაზე უარყოფითად მოქმედებდა და ალბათ ამის გამოც იყო, რომ შარშან მსაჯები წითელ-ყვითელ ბარათებს არ მაკლებდნენ. თავის გამოჩენის საშუალება რომ არ მქონდა, ვნერვიულობდი. მწვრთნელებისგან კი მხარდაჭერა არ მაკლდა, უჰრინი და კაჭარავა მაიმედებდნენ, შენი დროც დადგებაო. თავდაუზოგავად ვვარჯიშობდი და ვფიქრობ, ძირითადში ადგილიც დავიმსახურე. ახლა მეტი სტიმული მაქვს და გაორმაგებული ენერგიით ვემზადები.

— როგორც ვიცით, აქამდე ცენტრფორვარდის პოზიციაზე თამაშობდი. ამ სეზონში კი ხშირად მარჯვენა ინსაიდად გხედავთ. უჩვეულო პოზიციაზე არ გიჭირს?

— მართალია, აქამდე მარჯვენა ინსაიდად არასდროს მითამაშია და თავიდან ძალიან გამიჭირდა, არ ვიცოდი, რა მეკეთებინა. თუმცა ახლა ვხედავ, რომ ეფექტური ვარ. დუშან უჰრინი მცოდნე და გამოცდილი მწვრთნელია და იცის, რომელ პოზიციაზე უფრო სასარგებლო ვიქნები. უკვე ხუთი გოლი გავიტანე და სამი საგოლე პასი გავაკეთე.

— წინა სეზონის „დინამოსა" და ახლანდელს შორის რა სხვაობას ხედავ?

— განსაკუთრებულს ვერაფერს. შარშან სანდრო იაშვილი გვყავდა. გუნდიდან მისი წასვლის შემდეგ შეიძლება ბევრმა იფიქრა, „დინამომ" დიდი ძალა დაკარგაო, მაგრამ ჩანს, რომ სხვანაირად მოხდა. წლეულს ჩინებული სტარტი გვაქვს და შარშანდელი გუნდისგან ამ „დინამოს" ალბათ სწორედ ეს განასხვავებს. ასევე უნდა გავაგრძელოთ და ჩემპიონობა ჩვენ დაგვრჩება.

— წლეულს ყველაზე მეტად „დინამოს" რომელ მატჩში გაუჭირდა?

— ზუგდიდში, „მგლებთან". ჯერ ერთი, ტრიბუნებზე იყო სხვანაირად დამუხტული ატმოსფერო და მეორე, მეტოქედ გვყავდა ძალიან კარგი გუნდი. მიუხედავად იმისა, რომ „მგლებთან" თავიდან ვაგებდით, საბოლოოდ მაინც მოვიგეთ, რაც ჩვენს სიძლიერეზე მეტყველებს.

— ამ სეზონში უკვე სტაბილურად თამაშობ და რამდენიმე მატჩი წინა სეზონშიც ჩაატარე. როგორ ფიქრობ, ვინ არის შენთვის ყველაზე უხერხული მცველი?

— „ამერის" კაპიტანი დავითნიძე კარგი მცველია და კარგად მახსოვს, შარშან „დინამო" — „ამერის" სათასო მატჩებისას სანდრო იაშვილს როგორ მჭიდროდ ეთამაშებოდა.

— რას იტყვი, საქართველოს ჩემპიონატს ყველაზე მეტად რა აკლია?

— ბევრი სალაპარაკო არ არის, ხარისხიანი მოედნები.

— ახლა ჩემპიონატში ორკვირიანი შესვენებაა. შინ რატომ არ წახვედი?

— იმიტომ, რომ დროის დაკარგვა არ მინდოდა. აქ ვარ და დილმის ბაზაზე ვვარჯიშობ. ვცდილობ, სათამაშო კონდიციები გავიუმჯობესო და მომდევნო მატჩებს უფრო მომზადებული შევხვდე.

— „დინამოში" შენი საუკეთესო პარტნიორი ვინ არის?

— რომელი ერთი ვთქვა?! ყველანი ვასრულებთ მწვრთნელის დავალებას, კარგად ვთამაშობთ და მიჭირს, რომელიმე ერთი გამოვარჩიო. ისე კი, თავისუფალ დროს უფრო ხშირად ნედ ზელიჩთან და მილოშ კრშკოსთან ერთად ვატარებ. სლავები ვართ, ფაქტობრივად, ერთ ენაზე ვლაპარაკობთ და საერთოც ბევრი გვაქვს. მოედანზეც მათი სიტყვები უფრო მესმის.

— ზელიჩს საუკეთესო წლები უკან აქვს. შენ რას აპირებ?

— რა თქმა უნდა, როგორც ყველა ფეხბურთელს, მსურს, კარიერა უფრო ძლიერ გუნდში გავაგრძელო და საამისოდ ყველაფერი წინ მაქვს. ახლახან გავხდი 20 წლის. თავადაც და ჩემს აგენტსაც გვსურს, რომ უფრო სახელოვან გუნდში შევძლო თამაში, მაგრამ არ ვიცი, ეს როდის იქნება. თუმცა ამჟამად თავს „დინამოშიც" მშვენივრად ვგრძნობ, ძალიან ძლიერი მწვრთნელი მყავს და გუნდის ხელმძღვანელებიც, ბუბა ტყავაძე და ამირან ღიბრაძე ყველანაირად ჩემ გვერდით არიან. „დინამოდან" სხვა გუნდში ჩემ წასვლას კი დრო მოიტანს და, როცა ეს იქნება, გული დამწყდება.

**ქოზა ინასარიძე**

## თვალთვალი

თითქოს ჩვეულებრივი პენალტია. ვიტჯორჯიელი ლუკა რაზმაძე „სპარტაკის" კარში ურტყამს და გააქვს კიდეც. მაგრამ რაკილა ეს ფოტო „თვალთვალში" მოხვდა, მასზე რალაც უცნაურობაც უნდა იყოს ასახული. №26 და №20 — ეს ვიტელი ძმების, გიორგი და პაატა დათუნაიშვილების ნომრებია და, წესით და რიგით, რაკი პენალტს მათი თანაგუნდელი ურტყამს, ობიექტივს მათი ნომრიანი ზურგები კი არა, ანფასი უნდა ალებეჭდა...

მოკლედ, იმის თქმა გვინდა, რომ პენალტის დარტყმისას დათუნაიშვილები კარისკენ ზურგით დგებიან ხოლმე, ასეთი ჩვევა აქვთ. გამონაკლისი? როცა თავად უნევთ პენალტის შესრულება...



# ეჰ, ბურთიდან ფეხბურთამდე

| დღეს | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 8 | 8 | 0 | 0 | 24:2 | 24 |
| ზესტაფონი | 8 | 7 | 1 | 0 | 17:3 | 22 |
| ვიტ ჯორჯია | 8 | 5 | 1 | 2 | 11:7 | 16 |
| მგლები | 8 | 5 | 0 | 3 | 9:6 | 15 |
| ბორჯომი | 8 | 4 | 2 | 2 | 10:5 | 14 |
| მესხეთი | 8 | 4 | 2 | 2 | 10:9 | 14 |
| ამერი | 8 | 4 | 0 | 4 | 14:10 | 12 |
| ოლიმპი | 8 | 3 | 2 | 3 | 6:7 | 11 |
| ლოკომოტივი | 8 | 3 | 0 | 5 | 6:12 | 9 |
| სპარტაკი | 8 | 2 | 2 | 4 | 3:8 | 8 |
| სიონი | 8 | 2 | 2 | 4 | 7:12 | 8 |
| დილა | 8 | 1 | 1 | 6 | 6:13 | 4 |
| მერანი | 8 | 1 | 0 | 7 | 3:19 | 3 |
| ბათუმი | 8 | 0 | 1 | 7 | 2:15 | 1 |

## პაპუნა კედიას ფურცელი

რით არის ფეხბურთი დიდებული და იმით, რომ უამრავი სახე აქვს. ახლავე აგიხსნით, რას ვგულისხმობთ: ხომ გაგიგონიათ გამოთქმა, მაეანმა ფეხბურთი არ იცისო. შეგიძლიათ, გვითხრათ, რას ნიშნავს? აი, მაგალითად, ჩვენ ვიცნობთ ადამიანს, რომელსაც ბურთის გორება არ ეხერხება, მაგრამ ფეხბურთის ისტორიაში ჭიპი აქვს მოჭრილი. ასეთზე შეიძლება ითქვას, რომ ფეხბურთი არ იცის? ანდა, რას იტყვით კაცზე, რომელიც ამბობს, ფოტოზე მხოლოდ ბუცები რომ დამანახოთ, გეტყვით, ვინ ვის ეთამაშებაო. როგორ ფიქრობთ, არ იცის ამ კაცმა ფეხბურთი? კიდევ, არსებობენ ადამიანები, რომლებიც ბურთს ჩინებულად აგორებენ, მაგრამ ფეხბურთი ტრიბუნიდან რომ ანახო, ვერ გეტყვიან, რით სჯობია ერთი გუნდი მეორეს. ასეთებზე რაღას გვიბრძანებთ, იციან ფეხბურთი თუ არა? ზოგი კიდევ პირიქითაა, ტრიბუნიდან ზუსტად ხედება, რა უნდა შეცვალოს ამა თუ იმ გუნდმა, თამაში თავის სასარგებლოდ რომ შემოატრიალოს. ერთი კაცი იყო, ჩემპიონთა ლიგის მონაწილეთა სახელებს ვერ ამბობდა სწორად, სამაგიეროდ, თუნდაც უცნობი გუნდების შეხვედრას რომ უყურებდა, ზუსტად იცოდა, ოცი ფეხბურთელიდან იოლად რომელი ტყუვდებოდა, რომელი იყო ცაცია, ბურთის მიღება რომელს არ უვარგოდა და ასე შემდეგ.

| ერთი წლის წინ | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპი | 8 | 7 | 1 | 0 | 22:0 | 22 |
| ამერი | 8 | 7 | 1 | 0 | 16:2 | 22 |
| ზესტაფონი | 8 | 4 | 2 | 1 | 12:3 | 17 |
| დინამო | 8 | 5 | 0 | 3 | 13:6 | 15 |
| ვიტ ჯორჯია | 8 | 4 | 3 | 1 | 14:10 | 15 |
| ტორპედო | 8 | 4 | 3 | 1 | 7:3 | 15 |
| სიონი | 8 | 3 | 2 | 3 | 8:7 | 11 |
| ბათუმი | 8 | 2 | 2 | 4 | 8:7 | 8 |
| ლოკომოტივი | 8 | 2 | 2 | 4 | 6:10 | 8 |
| მერანი | 8 | 2 | 2 | 4 | 6:13 | 8 |
| ჩიხურა | 8 | 1 | 3 | 4 | 4:12 | 6 |
| ბორჯომი | 8 | 1 | 2 | 5 | 10:18 | 5 |
| დილა | 8 | 0 | 2 | 6 | 4:22 | 2 |
| კახეთი | 8 | 0 | 1 | 7 | 7:24 | 1 |

# რვიდან რა?!

## მახვილები, კითხვის და სხვა ნიშნები

ჰოდა, მოდი, სწორედ აქ დავუბრუნდეთ ჩვენი დღევანდელი წერილის პირველ წინადადებას: ფეხბურთს უამრავი სახე აქვს! — შემდეგ კი დავძინოთ: ამ სახეთაგან თითოეულს თავისებური დანახვა უნდა, ხოლო მათზე საუბარი ან, ჯანდაბას, თუგინდ კამათი, მისი ნებისმიერი მოყვარულისთვის დიდი სიამოვნებაა.

ახლა კი ჩვენს სურვილს გაგაცნობთ: გვინდა, ამიერიდან ფეხბურთზე, უფრო ზუსტად კი, საქართველოს ჩემპიონატზე საუბრითაა და, ჯანდაბას, თუგინდ კამათით თვეში ერთხელ მაინც ვისიამოვნოთ. ამ სიამოვნებაში ჩვენი როლი ასეთი იქნება: შევეცდებით, საქართველოს ჩემპიონატის ყოველ მომდევნო ნაბიჯს გამოვეხმაუროთ, აქა-იქ მახვილები, შიგადაშიგ კი კითხვის ან სხვა ნიშნები დავსვათ, ხოლო თქვენ, იმედია, აგვყვებით, ზოგ მოსაზრებაში დაგვეთანხმებით, ზოგში არა, სიტყვას სიტყვას მოაყოლებთ, ჩვენს შემოთავაზებულ თემებს თქვენსას დაამატებთ და ასე, ერთად მივაღწევთ იმას, რაც დღეს ყველაზე მთავარია: მუდმივად ვისაუბრებთ ჩვენს ფეხბურთზე, მუდმივი საუბარი კი სიფხიზლეს ნიშნავს. ძილი დაუშვებელია.

რამდენჯერმე შევესწარი: საქართველოს ჩემპიონატზე ირონიით საუბრობდნენ ადამიანები, რომლებიც თამაშებზე არ დადიან, იქნებ, წლობითაც არ ყოფილან. საკმარისი იყო, მათთვის გეკითხა, „რა იცი“, რომ ვერაფერს გპასუხობდნენ. ამ ჩვეულებრივ, ჩემნაირ და თქვენნაირ კარგ ხალხს, უბრალოდ, გამჯდარი აქვს გონებაში, რომ საქართველოს ჩემპიონატი მეტისმეტად დაბალი დონისაა და მორჩა, სტერეოტიპის არათუ ეჭვქვეშ დაყენება, მასზე ფიქრიც კი არ უნდა... არ სცალია. და, რას გეტყვით, იცით? ისინი ცამდე მართალნი არიან, მათ მართლა არ სცალიათ — ოჯახი ჰყავთ შესანახი. ამ ადამიანებს საქართველოს ჩემპიონატზე ყოველთვის ოდინდელი, მყარი და გადაუმოწმებელი შეხედულება ექნებათ, თუ თავად საქართველოს ჩემპიონატმა არ შეუღო სახლის კარი, არ ეწვია და თანაც მორთულ-მოკაზმული. ჰოდა, ვფიქრობთ, მთელი ჩვენი ძალისხმევაც სწორედ აქეთკენ უნდა მოიმართოს. ჩვენი: კლუბების, ფეხბურთის ფედერაციის, პროფლიგის, ფეხბურთელების, მსაჯების, ტელე თუ საგაზეთო ჟურნალისტების... სხვა გზა, უბრალოდ, აღარ არის. თავზე ნაცრის წაყრის დრო წავიდა, საქმის გამოსწორებაა საჭირო. ხეს საკმაოდ დიდხანს ვუძახეთ, ხმები, ხმებიო, ეს კი მეტისმეტად საშიშია.

და ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, თუ ნებას დაგვრთავთ, საქართველოს მე-19 ჩემპიონატის პირველ რვა ტურს თვალს, უპირველეს ყოვლისა, კარგის დანახვის იმედით გადავავლებთ.

დავიწყოთ ცხრილით: თქვენი არ ვიცი და, ჩვენს თვალს, უპირველეს ყოვლისა, უმაღლესი ლიგის დებიუტანტების, „მგლებისა“ და „მესხეთის“ ზედა ნახევარში სახლობა ხვდება. მავანს შეიძლება ეთქვა, ეს მათი სიძლიერის კი არა, სხვების სისუსტის ბრალიაო, მაგრამ ამ მოსაზრებას ვერ დავეთანხმებით, რადგან ორივეს თამაში ვნახეთ და ორივემ კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ერთიცა და მეორეც შეკრული გუნდი გახლავთ, თავს ორივე ყურადღებით იცავს, „მგლებისა“ კი განსაკუთრებით დაცვიდან შეტევაზე და შეტევიდან დაცვაზე გადასვლა-გადმოსვლის სურათი მოგვეწონა — ზუგდიდის გუნდი ამას რგოლებს შორის ბალანსის დაურღვევლად ახერხებს. შეტევისას მისი ერთი ნახევარმცველი მოხერხებულად იქცევა თავდამსხმელად და პირიქით. თუმცა იმავ „მგლებს“ მე-6 ტურში „დინამოსთან“ ჩხუბი უნდა დავუწუნოთ. საერთოდაც, დროა, საქართველოს ჩემპიონატში შინ თამაშის უპირატესობა გინების და გაქაჩვის უპირატესობას აღარ ნიშნავდეს. თუ ფეხბურთია, ფეხბურთი იყოს და ეს უკვე მარტო „მგლებს“ კი არა (რომელსაც, სხვათა შორის, შესანიშნავი, ნაღდი სახელი ჰქვია) ყველას ეხება.

და კიდევ ერთი, ახლა უკვე სახალისო ეპიზოდი „მგლების“ ცხოვრებიდან: თბილისში, „ლოკომოტივთან“ შეხვედრის მეორე ტაიმში, ზუგდიდელებმა მასპინძლებს გოლი გაუტანეს და გახარებულებმა იმდენი ირბინეს, რომ მთელი გუნდით საკუთარ ნახევარზე აღმოჩნდნენ. იქ, თავიანთ ნახევარზე, „მგლები“ მეკარიანად შემოახტნენ ერთმანეთს, ფეხბურთის წესებში კი არსად წერია, სანამ თავის ნახევარზე გადასული გუნდი ზეიმს არ მორჩება თამაში გაჩერებული უნდა იყოსო. ჰოდა, „ლოკომოტივმაც“ ვითარებას ალღო უცებ აუღო და... ცენტრიდან, აბსოლუტურად დაუცველ კარს (ზუგდიდელები სადღაც აუტის ხაზთან იყვნენ შეჯგუფეული) ააცილა ბურთი.

ფეხბურთელთა საყურადღებოდ: თუ გოლმა ძალიან გაგახარათ, შეეცადეთ, მეტოქის ნახევარზევე იზეიმოთ.

რვა ტურის შემდეგ სრულიად ლოგიკურია „დინამოს“ პირველობა. დუშან უჰრინის ფეხბურთელები ინდივიდუალურადაც კარგები არიან და ჯერჯერობით არც გუნდური თამაში დაეწუნებათ. ბუნებრივია, გამოცდები მათ ჯერ კიდევ ელით — მთავარი მათგანი, ვფიქრობთ, 11 ნოემბერს შინ „ზესტაფონთან“ უწევთ — მაგრამ ჯერჯერობით რაც იყო, მოსაწონი გახლდათ: სწორედ მე-8 ტურში „ამერთან“ ხუთიანი მიიღეს. ბუნებრივია, ეს წერილი ამ შეხვედრის მიმოხილვა არ არის, მაგრამ, მოდი, მაინც ვთქვათ: იმ დღეს დინამოელთა უმეტესობამ კარგად ითამაშა და „ამერის“ შუიდან გახვრეტის გეგმამაც იმუშავა. ამასთან, ეს ნამდვილად არ იყო ის შემთხვევა, როდესაც მეტოქე ხელფეხჩამოყრილი და პარალიზებულია. „ყვითლებს“ შორის, ცხადია, იყვნენ ისეთები, ვინც მაინცდამაინც ვერ გამოიჩინა თავი, თუმცა რამდენიმე მათგანმა მართლაც კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

და რაკილა „ამერი“ ვახსენეთ... გლდანელებისგან პირველ რვა ტურში ყველა აშკარად მეტს ელოდა. დღეს დიდიცა და პატარაც ამას ამბობს: უეფას თასზე „ბელხატუვთან“ თამაშის შემდეგ „ყვითლებს“ თავისი შესაძლებლობები აღარ გამოუვლენიათ. ეს მოსაზრება საკუთრივ „ამერის“ ფეხბურთელებისგანაც კი გაგვიგია, თავადაც საგონებელში იყვნენ. და რისი ბრალი უნდა იყოს ეს? იქნებ, ზაფხულში, ევროპული თამაშებისთვის საგანგებო მზადებამ გუნდის ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალები ზაფხულსავე დაუტოვა? ან, იქნებ, ბირთვის გადახალისება თუ თამაშის გამრავალფეროვნებაა საჭირო? ეჭვი არ არის, ამ კითხვებზე პასუხს გლდანელები თავადვე გამალებით ეძებენ და რაც მალე იპოვნიან, მათთვისვე უკეთესი იქნება.

სრულიად სამართლიანია მეორე ადგილზე „ზესტაფონის“ დამკვიდრებაც. ზესტაფონელები ტურიდან ტურში მყარად მიაბიჯებენ და „დინამოს“ ორად ორი ქულით ჩამორჩებიან. დღეს საქართველოს სტადიონებზე ხშირად გაიგონებთ: ამ სეზონში ჩემპიონის ვინაობა ამ ორ გუნდში გაირკვევა.

რა თვისებებით გამოირჩევიან ამ ეტაპზე ზესტაფონელები? ერთი, რისი თქმაც შეიძლება, ალბათ ის გახლავთ, რომ მათ რამდენიმე შეხვედრაში უხალისო პირველი ტაიმის შემდეგ მეორეში მოუხდათ გამოცოცხლება. ეს შემთხვევითობაა თუ რაიმე კანონზომიერება? ამაზე პასუხის დაბეჯითებით გაცემა ჯერჯერობით შეუძლებელია. მეორე და უმთავრესი კი ის გახლავთ, რომ „ზესტაფონი“ ამ 8 ტურში სტაბილურობით გამოირჩეოდა, რაც, დაგვეთანხმებით, ძალიან მნიშვნელოვანია.

„ვიტ ჯორჯია“? მიჩვეულნი ვართ, რომ ის ყოველთვის კარგი გუნდია და ამჯერადაც ამის გამეორება შეიძლება — პირველ ტურში ზესტაფონში ფრედ ითამაშა. ყოჩაღია „ბორჯომი“, მე-5 და მე-6 ტურებში „ამერსა“ და „ვიტ ჯორჯიას“ ერთი-მეორის მიყოლებით მოუგო.

თუმცა, კაცმა რომ თქვას, ამ, პირველ წერილში თოთხმეტივე გუნდის დახასიათებას არ ვაპირებთ, რადგან ზოგზე, უბრალოდ, გამოსარჩევს ვერაფერს ვიტყვით და ეს ჩვენი წერილი მოსაწყენი გაგვიხდება. იმის თქმა, რომ „ბათუმი“ დასუსტდა და დასანანია, იოლია, ხოლო საქართველოს ჩემპიონ „ოლიმპს“ სეზონის წინ და დასაწყისში შიდა-საკლუბო პრობლემები ჰქონდა, რამაც, ბუნებრივია, მისი ფეხბურთი დააკნინა. სამწუხაროა ბოლნისელთა მე-11 ადგილზე ხილვაც.

ბოლოს კი, ორი საკითხი, რომლის გარეშეც წერტილის დასმა არ გვსურს. ერთი კარგია, მეორე ცუდი. რომლით დავიწყოთ? მოდი, თავიდან კარგი ვთქვათ: საქართველოს სტადიონებზე მოედნების ხარისხი წინა წლებთან შედარებით მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულია!

და მეორე: გვეჩვენება თუ რა არის? თამაშებში ტემპი არ იცვლება. ზოგი შეხვედრა უფრო სწრაფი და ჟინიანია, ზოგიც ნაკლებად, მაგრამ იქაც და იქაც მოვლენათა დაძაბვა, ესკალაცია (საფეხბურთო დაძაბვასა და ესკალაციაზე მოგახსენებთ) არ ხდება. გუნდები, რომლებიც აგებენ, ტემპის აწევას და მეტოქეზე ზეწოლას, ფაქტობრივად, ვერ ახერხებენ, არადა ეს ძალიან, ძალიან საჭიროა.



# როგორ დააფრთხო აგეროს ენამ მესი და მილიტო
## რიკელმე ჩილეში ვილიარეალს ნახავს


ლეო მესი და რომან რიკელმე

**ლეო მესი** ბუენოს აირესში ჩილესთან სათამაშოდ ორშაბათს ჩავიდა. „ბარსელონას“ „პულგამ“ ნაკრების დანარჩენ წევრებთან ერთად 2010 წლის მუნდიალის შესარჩევ მატჩებში უნდა მიიღოს მონაწილეობა.

„არგენტინის ეროვნულ გუნდს შესანიშნავი ფეხბურთელები ჰყავს, მაგრამ რიკელმე მაინც ყველასგან განსხვავებულია“ — უთხრა მესიმ თანამემამულე მედიას.

ხუან რომან რიკელმე ამჟამად თავისი კლუბის, ესპანური „ვილიარეალის“ შემადგენლობაში ვერ ხვდება, თუმცა „ალბისელესტეს“ დამრიგებელი ალფიო ბასილე ძველჩაუქ „რომის“ მაინც ენდობა და ჩილესთან მატჩისთვის გამოიძახა.

სხვათა შორის, რიკელმეს გამაწვარებელი „ვილიარეალის“ მწვრთნელი მანუელ პელეგრინიც ჩილელია, ამიტომ უცნაური არ იქნება, თუ ხუან რომანმა შაბათის შეხვედრაში თავი განსაკუთრებულად გამოიდო.

„რიკელმე ფიზიკურად კარგ ფორმაშია თუ არა, მოედანზე თავის სათქმელს ყოველთვის ამბობს და ამით ყველა სხვა მოთამაშისგან განსხვავდება. ახლა მცირე დრო გვაქვს ერთმანეთის მხარდამხარ სათამაშოდ და ეს პერიოდი შედეგიანად უნდა გამოვიყენოთ. საოცარი გრძნობაა, როდესაც არგენტინის ნაკრების მაისურით „მონუმენტალზე“ გამოდიხარ“ — ამბობს ლეო მესი.

„ლივერპულის“ ნახევარმცველმა ხავიერ მასკერანომ კი ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ჩილესთან მატჩი საკმაოდ ძნელი იქნება, რადგანაც 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევებში პირველია.

საბრძოლო ფორმაში არიან ნიკოლას ბურდისო, ხავიერ ძანეტი და ესტებან კამბიასო. „ინტერის“ არგენტინელთა არმადა ბუენოს აირესში საბრძოლო განწყობაზე ჩაფრინდა და ჩილელებთან მატჩს მოუთმენლად ელის.

სერხიო აგეროც ბასილეს გვარდიაშია. „კუნის“ „ატლეტიკომ“ კვირას მესის „ბარსელონასთან“ წააგო, რითაც „პულგამ“ და მეორე პატაგონიელმა, ბარსელონელმა გაბრიელ მილიტომ ძალიან გაიხარეს.

— „ატლეტიკოსთან“ მატჩის წინ გაბის ვუთხარი, მოვინდომოთ და „კუნს“ მოვუგოთ, თორემ მერე თვითმფრინავში აგეროს შხამიან ენას რა გაუძლებს-მეთქი“ — აღნიშნა „კუნის“ იუმორით დაფეთებულმა „პულგამ“.

**ლადო ხომერიკი**

# უჟოზეო ჩელსი ჩავარდება
## კრიშტიანუ რონალდუმ კაკა იცის



**პორტუგალიელი** კრიშტიანუ რონალდუ თვლის, რომ „ჩელსი“ ჟოზე მაურინიუს გარეშე აბსოლუტურად განსხვავებული გუნდია და კარგი სეზონი ვერ ექნება.

„ლიდერთა ჭიდილში „ჩელსის“ გამორიცხვა არასოდეს შეიძლება, თუმცა ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ეს სეზონი ლონდონელთათვის წარმატებული არ უნდა იყოს“ — განაცხადა „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფეხბურთელმა ავსტრიულ „ჰოიტესთან“ ინტერვიუში.

რონალდუს აზრით, ჩემპიონთა ლიგის მთავარი ფავორიტი წლევულს „მანჩესტერია“. „მილანს“, „ბარსელონას“, „რეალს“ და „ინტერს“ კი გამარჯვების შანსები აქვთ. ხოლო შეკითხვაზე, თუ ვის თვლის ამჟამად პლანეტის საუკეთესო ფეხბურთელად, პორტუგალიელმა უყოყმანოდ უპასუხა, რომ ეს კაცი „მილანის“ ბრაზილიელი ვარსკვლავი კაკაა.

მოთამაშე, რომელმაც ყველაზე მეტი ზეგავლენა მოახდინა კრიშტიანუს კარიერის განვითარებაზე, გახლავთ ფრანგი ერიკ კანტონა და ლუზიტანიც ამაყობს, „მანჩესტერში“ კანტონასეულ შვიდნომრიან მაისურას რომ ატარებს. 2008 წლის ევროპის ჩემპიონატზე კი რონალდუ ფიქრობს, რომ თუ პორტუგალიის ნაკრებმა ავსტრია-შვეიცარიაში მოხვედრა მოახერხა, ტიტულისთვის ბრძოლაში გერმანიასთან, საფრანგეთთან, იტალიასთან და ინგლისთან ერთად ფავორიტი იქნება.

გავიხსენოთ, რომ კრიშტიანუ რონალდუს „ჩელსის“ ყოფილ მწვრთნელთან და მის თანამემამულე ჟოზე მაურინიუსთან დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა. „მაუმ“ ერთხელ განაცხადა, რომ „მანჩესტერის“ ფეხბურთელი სათამაშო კლასის ნაკლებობას განიცდის და თან სიმულანტია.

**ლადო ხომერიკი**

# ჯერ ჰენკი, მერე ფრანკი
## ჩავა რაიკარდი ლონდონში?

**ბრიტანული** „დეილი მეილის“ ცნობით, „ჩელსიში“ დროებითი თავკაცის ავრაამ გრანტის თანაშემწედ მისული ჰოლანდიელი ჰენკ ტენ კატე „სტემფორდ ბრიჯზე“ თანამემამულის, ფრანკ რაიკარდის დანიშვნისთვის ნიადაგს ამზადებს.

„დეილი მეილი“ ჰოლანდიურ მედიაში გამოქვეყნებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით იუწყება, რომ „ფოლადის სერჟანტ“ ტენ კატეს „ჩელსიში“ მისვლა რომან აბრამოვიჩის დიდი პროექტის პირველი ნაწილია. ამ პროექტის მიხედვით, მომავალ ზაფხულს ჩელსელებს „ბარსელონას“ მწვრთნელმა ფრანკ რაიკარდმა უნდა უთავკაცოს.

ამბიციური გეგმა „ჩელსიში“ გაისად კლაას-იან ჰუნტელაარის, აქამდე „აიაქსში“ ტენ კატეს მოწაფის მიყვანას ისახავს მიზნად. ჰოლანდიელი ფორვარდის ლონდონურ კლუბში გადაბარგებას ხელს ბევრი ვერაფერი შეუშლის, რადგანაც ანდრეი შევჩენკოს მომავალ სეზონში იტალიურ ფეხბურთში დაბრუნება თითქმის გადაწყვეტილია.

ჰუნტელაარი 24 წლისაა, გასულ სეზონში „აიაქსის“ შემადგენლობაში 32 მატჩში 21 გოლი გაიტანა, ხოლო ზაფხულში „მანჩესტერ იუნაიტედს“ უთხრა უარი 21 მილიონიან შეთავაზებაზე. თუ კლაას-იანი „ჩელსიში“ მივიდა, თანამემამულეთა თავკაცობით ითამაშებს. „დეილი მეილის“ ვერსიით, გაისად „ჩელსის“ მწვრთნელი ფრანკ რაიკარდი იქნება, მის თანაშემწეობას კი ჰენკ ტენ კატეს ჩააბარებენ, ვინც აბრამოვიჩმა „აიაქსიდან“ დროებითი მწვრთნელის გრანტის თანაშემწედ ახლახან ჩაიყვანა. თავად ავრაამ გრანტს კი სპორტული დირექტორის ადგილს შესთავაზებენ.

ტენ კატეს მაგივრად „აიაქსი“ ადრი კოსტერმა, „ტილბურგის“, „როდას“, „ექსელსიორისა“ და „ვალვაიკის“ ყოფილმა თავკაცმა ჩაიბარა. ლონდონში ჩასულმა ჰენკმა კი საინტერესო ამბავი მოუთხრო იქაურ მედიას. აღმოჩნდა, რომ „ჩელსის“ პრეზიდენტი რომან აბრამოვიჩი რამდენიმე ხნის წინ რაიკარდს პირადად შეხვედრია და საქებარი სიტყვებიც უთქვამს — ყოჩაღ, „ბარსელონას“ ასე წარმტაც და ლამაზ ფეხბურთს რომ ათამაშებთო. არკადიევიჩს რაიკარდისთვის თანამშრომლობაც შეუთავაზებია, თუმცა ამაზე ჰოლანდიელმა რუსს რა უპასუხა, ჰენკს აღარ უთქვამს.

რაიკარდს „ბარსელონასთან“ მოქმედი კონტრაქტით კატალონიური გრანდის დატოვება სახელშეკრულებო ვადის ამოწურვამდეც თავისუფლად შეუძლია და მის მსურველ კლუბსაც (ამ შემთხვევაში „ჩელსის“) უსაშველო თანხების გადახდა არ მოუწევს. ოღონდ ფრანკმა კონტრაქტის ერთ-ერთი მუხლის მიხედვით, „ბარსას“ მიტოვებამდე 6 თვით ადრე უნდა აცნობოს პრეზიდენტ ხუან ლაპორტას თავისი გადაწყვეტილების შესახებ.

**ლადო ხომერიკი**

## რიჩარდსმა დეფო დაიჟინა

**„დეილი ექსპრესის“** ცნობით, „მანჩესტერ სიტი“ ტოტენჰემელი ჯერმენ დეფოთი დაინტერესდა.

„მანჩესტერ სიტის“ მცველი მიკა რიჩარდსი დაჟინებით ურჩევს მწვრთნელ სვენ გორან ერიკსონს, დეფო შეიძინოს, რომლის ფასიც დაახლოებით 18 მილიონი ევროა. შესაძლოა, გარიგება იანვარში შედგეს.

გარდა ამისა, გაირკვა, რომ ზამთარში „სიტი“ გეორგიოს სამარასს და დარიუს ვასელს გაყიდის.

## პრემიერლიგამ იძუნწა

**სამშაბათს** ბრიტანეთში ექიმთა დღე აღნიშნეს და ამასთან დაკავშირებით ეგრეთ წოდებულ „მედის ფონდში“ მოხალისეებმა ფული გადარიცხეს.

აქციის ორგანიზატორებმა პრემიერლიგის ფეხბურთელებსაც დახმარებისთვის მიმართეს და ერთი მილიონი გირვანქა სთხოვეს. იფიქრეს, მილიონერ მოთამაშეებს ეს თანხა არ გაალარიბებსო, მაგრამ გაოცებულნი დარჩნენ, როცა 220 ათას გირვანქაზე მეტი ვერ მიიღეს.

გაირკვა, რომ „ჩელსის“ ფეხბურთელებმა ერთი გირვანქაც ვერ გაიმეტეს, ხოლო „მანჩესტერიდან“ და „არსენალიდან“ მხოლოდ ხუთმა ფეხბურთელმა გაიღო მოწყალება.

გაბრაზებულმა ექიმებმა პრემიერლიგელებს ბრიტანული მედიის საშუალებით, რაც შეიძლება, ადრე და მალე დაავადება უსურვეს.

## ჰიდინკი გააგრძელებს

**რუსეთის** ფეხბურთის კავშირის პრეზიდენტმა ვიტალი მუტკომ გუშინ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ გუუს ჰიდინკი კონტრაქტს ორი წლით გაახანგრძლივებს.

„ხელშეკრულების გაგრძელებაზე შევთანხმდით და ჰოლანდიელი 2010 წლამდე იმუშავებს. ეს არანაირად არ უკავშირდება ინგლისთან მომავალ მატჩს. საქმე ისაა, რომ ჩვენ კმაყოფილები ვართ ჰიდინკის გარჯით. გვაქვს ახალი გეგმები ქვეყანაში ფეხბურთის რეფორმასთან და მწვრთნელების მომზადებასთან დაკავშირებით. კონტრაქტის დეტალებს მალე შევაჯერებთ და ჰოლანდიელი ხელს მოაწერს“ — თქვა მუტკომ.

## ბოკას დაიმტვრა

**შაბათს** „ჰანოვერთან“ მატჩში „შტუტგარტის“ მცველი არტურ ბოკა დაშავდა და ტრავმირებულთა გრძელ სიას შეუერთდა. 24 წლის კოტდივუარელს მუხლის მყესები დაუზიანდა. ეს ცუდი ამბავია არმინ ფეესთვის, რომელსაც თომას ჰიცლშპერგერი, მეტიუ დელპიერი, ილდირაი ბაშთურქი და ანტონიო და სილვაც ტრავმირებული ჰყავს.

ამის გამო „შტუტგარტმა“ სეზონი ცუდად დაიწყო და შარშანდელი ჩემპიონი ახლა მე-12 ადგილზეა.

ფეემ ნაკრების მწვრთნელს იოახიმ ლიოვს სთხოვა, რომ ირლანდიასთან და ჩეხეთთან მატჩებში გუნდის ფეხბურთელები არ ათამაშოს, თუ აუცილებელი არ იქნება.

## კოკაინმა მოკვეთა

**შოტლანდიის** პრემიერლიგის „ინვერნესის“ ნახევარმცველი რიჩი ჰარტი კლუბმა მოკვეთა. იგი ივნისში დააპატიმრეს, რადგან კოკაინის შენახვა-გასაღებაში იყო ეჭვმიტანილი და გამოძიების დასრულებამდე გაათავისუფლეს. გუშინ კი ჰარტს ბრალი დაუმტკიცდა და გუნდმა ამის გამო მოიცილა.

იგი 2002 წლიდან ძირითადი შემადგენლობის მოთამაშე იყო, ამ სეზონში კი მხოლოდ ერთხელ შეუშვეს შეცვლაზე.

**ვაჟა ხუციშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა





# ძაღლი და კატა
## მიატოვიჩს და შუსტერს ერთმანეთი ეზიზღებათ

„რეალის“ სპორტული დირექტორი პრედრაგ მიატოვიჩი და მწვრთნელი ბერნდ შუსტერი ერთმანეთს ვერ იტანენ — წერს „დიარიოსპორტი“.

სერბი გუნდში გერმანელის დანიშვნის წინააღმდეგი იყო და სამწვრთნელო შტაბის დაკომპლექტებაზეც კარგა ხანს ვერ თანხმდებოდნენ. მიატოვიჩს შუსტერმა ყური არ უგდო და „ხეტაფედან“ „რეალში“ თანაშემწედ მანოლო-რუისი იახლა.

გარდა ამისა, „რეალის“ მეორე გუნდიდან მეკარე ხორდი კოდინას დაწინაურების ნაცვლად, „ლივერპულიდან“ ვეტერანი ირჟი დუდეკი გადაიყვანა. თავის მხრივ, შუსტერი „მანჩესტერის“ ფიზმომზადების ყოფილი მწვრთნელის ვალტერ დი სავიოს მიყვანას ეწინააღმდეგებოდა და ისიც გაუხარდა, რომ მიატოვიჩს „ჩელსიდან“ მიხაელ ბალაკის ტრანსფერი ჩაეშალა.

**გაჟა ხუციშვილი**

# სამმაგი ხელფასი დავიდ ვილიას!



**მადრიდის** „რეალის“ პრეზიდენტ რამონ კალდერონს სამომავლოსეზონოდ კასტილიური გრანდის ძირითადი შემადგენლობის „გაესპანელება“ უნდა.

ამბობენ, რომ გაისად „რეალი“ აქცენტს ესპანელი ფეხბურთელების შეძენაზე გადაიტანს.

„მარკას“ ცნობით, „სამეფო თერების“ წარმომადგენელი „ვალენსიას“ თავკაცობას დაუკავშირდა და „ლამურათა“ ფორვარდის, დავიდ ვილიას „ბერნაბეუზე“ სავარაუდო გადასვლის თაობაზე მოეთათბირა.

ვილია 2007-08 წლების სეზონისთვის „რეალის“ მთავარი სატრანსფერო სამიზნე იქნება. მადრიდში გადაბარგების სანაცვლოდ კი დავიდს ხელფასს გაუსამმაგებენ.

წარმოშობით ასტურიელი ფორვარდი ვალენსიელ ქომაგთა კერპი გახლავთ. იგი 1981 დაიბადა და სანამ „ვალენსიას“ ფორმას მოირგებდა (2005), ხიხონის „სპორტინგში“ (2000-2003) და „სარაგოსაში“ (2003-05) თამაშობდა.

ტიტულებიდან „სარაგოსასთან“ ერთად ესპანური კოპა დელ რეი (2004) და ესპანეთის სუპერთასი (2004) აქვს მოგებული.

„ელ გუახეს“ (ვილიას მეტსახელია, ასტურიულ დიალექტზე „ბავშვს“ ნიშნავს) „ვალენსიასთან“ კონტრაქტის ანულირება 150 მილიონი ევრო ღირს.

**ლადო ხომერიკი**

# იქით ბაჯო და აქეთ არველაძე
## ლევანტემ დე ბიაზი დაიმტკიცა

„**ილ სალვატორე**“ მოვიდა „ლევანტეშიო“ — წერდნენ გუშინ ვალენსიური გაზეთები.

„ილ სალვატორე“ იტალიურად მხსნელს ნიშნავს, ხოლო ეს მხსნელი პრიმერადივიზიონის ბოლო ადგილზე უიმედოდ ჩაჩეხილი „ლევანტესთვის“ ჯოვანი დე ბიაზი გახლავთ.

„ტორინოს“ ექსთავკაცმა ესპანურ გუნდთან ოთხშაბათს გააფორმა კონტრაქტი და მისი მისიაც „ლევანტეს“ ლა ლიგაში დარჩენა და კლუბის სენტენარიოს (ასი წლისთავის) უმაღლეს დივიზიონში შეხვედრა იქნება.

დე ბიაზის „ტორინოსთან“ 2008 წლამდე აკავშირებდა კონტრაქტი, თუმცა ყოფილ გუნდთან საქმეები მალე მოაგვარა და ამიერიდან მისი მთავარი საზრუნავი შოთა არველაძისა და კომპანიის პრიმერადივიზიონული წარმატებაა.

51 წლის სპეციალისტმა ვალენსიაში ჩასვლისას, უპირველეს ყოვლისა, თარჯიმანი მოითხოვა. დე ბიაზის ესპანური ასე თუ ისე ესმის, მისი ერთ-ერთი იტალიელი თანაშემწე კი კასტილიურად სრულყოფილად საუბრობს, თუმცა ფეხბურთელებისთვის თავისი სათამაშო ფილოსოფიის კარგად გადასაცემად ჯოვანიმ მაინც მოითხოვა ენის სპეციალისტი.

შეგახსენებთ, რომ არველაძის გუნდში ოთხი იტალიელი თამაშობს — ბრუნო ჩირილო, მარკო სტორარი, კრისტიან რიგანო და დამიანო ტომაზი.

ჯანი დე ბიაზი 1956 წლის 16 ივნისს დაიბადა ტრევიზოში. ფეხბურთელობისას ნახევარმცველი იყო და სხვა აპენინური კლუბების გარდა მილანის „ინტერშიც“ უთამაშია. სამწვრთნელო კარიერა 1990 წელს დაიწყო და პირველ შესამჩნევ წარმატებას „მოდენას“ ხელმძღვანელობისას (1999-2003) მიაღწია, როცა ხსენებული კლუბი ორი სეზონის განმავლობაში სერია C-დან ჯერ სერია B-ში, ხოლო შემდეგ A-ში გადაიყვანა, სადაც „მოდენა“ უკვე 38 წელიწადი ვერ ხვდებოდა.

მერე იყო „ბრეშა“, სადაც დე ბიაზი ვეტერანი რობერტო ბაჯოს მწვრთნელი გახლდათ, შემდეგ კი „ტორინო“, რომელიც „ლევანტეს“ დღევანდელმა თავკაცმა სერია B-დან სერია A-ში დააწინაურა.

დღეს ლუიჯი დე ბიაზის „ლევანტე“ ესპანურ პრიმერადივიზიონში ბოლო ადგილზეა — 7 ტურში მხოლოდ ქულაა მისი მონაპოვარი.

**ლადო ხომერიკი**



ჯანი დე ბიაზი

## ვიზეს ფული უნდა

**ბრემენის** „ვერდერი“ და ტიმ ვიზე ახალ კონტრაქტზე ვერ რიგდებიან. მეკარეს ხელშეკრულება 2008-ის ზაფხულში ეწურება.

უკვე რამდენიმე თვეა, ფეხბურთელის აგენტი კლუბს ვიზეს ჯამაგირზე ევაჭრება, მაგრამ შეთანხმებას ვერ მიაღწიეს. გერმანული მედიის ცნობით, მეკარე წელიწადში 2 მილიონ 500 ათას ევროს ითხოვს.

## პრესკონფერენცია გინების გამო

**კვირას** „ბარსელონამ“ „ატლეტიკოს“ უმასპინძლა და 3:0 მოუგო. სტუმართა ნახევარმცველი რეიესი 55-ე წუთზე შეცვალეს. მოედნიდან გასვლისას ესპანელმა თავის მწვრთნელ ხავიერ აგირეს ჩაუარა და შეიგინა. გუშინ კი პრესკონფერენციაზე საქციელი ასე ახსნა: „მწვრთნელზე არ გავბრაზებულვარ და არც მისთვის მიგინებია. როცა მცვლიან, ყოველთვის საკუთარ თავზე ვბრაზდები და ვილანძღები“.

**გაჟა ხუციშვილი**



# საკის აზრები

**იტალიის** ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა და „მილანის“ ექსთავკაცმა არიგო საკიმ განაცხადა, რომ 2007 წლის „ოქროს ბურთის“ მთავარი პრეტენდენტი „როსონერის“ ბრაზილიელი კაკა იქნება.

„ჩემი აზრით, „ოქროს ბურთი“ ასიდან ოთხმოცდაცხრამეტი პროცენტით კაკას ეკუთვნის. „მილანმა“ რომ ჩემპიონთა თასი მოიგო, ამაში მთავარი როლი მან შეასრულა“ — უთხრა საკიმ რადიოს.

თუმცა არიგოს არც „ოქროს ბურთის“ სხვა პრეტენდენტები დავიწყებია, რომლებიც იტალიურ სერია A-ში თამაშობენ: „ფრანჩესკო ტოტი ფანტასტიკური ფეხბურთელია. სამწუხაროა, რომ იტალიის მიერ 2006 წლის მუნდიალის მოგების დროს რომაელი საუკეთესო ფიზიკურ ფორმაში ვერ იყო. „ინტერის“ იბრაჰიმოვიჩიც თუ კვლავ სტაბილურად ითამაშებს, მომავალი „ოქროს ბურთის“ მოგებას შეძლებს“.

„სკუადრა აძურას“ ძველი თავკაცი არც იმას გაუოცებია, რომ იტალიელთა მწვრთნელმა რობერტო დონადონიმ საქართველოსთან ევროშესარჩევი მატჩისთვის ალესანდრო დელ პიერო არ გამოიძახა: „რა გაეწყობა, ზოგჯერ ასეც ხდება ხოლმე. თუმცა იმედი მაქვს, ეს დელ პიეროს კარიერაში დაღმავალი გზის დაწყებას არ ნიშნავს“.

ჟურნალისტებმა საკის დღევანდელ „მილანში“ უცხოელ ლეგიონერმა მოძალებაზეც ჰკითხეს (კარლო ანჩელოტის გუნდი ხშირ შემთხვევაში მოედანზე იტალიელთა გარეშე გამოდის), რაზეც აპენინელმა სპეციალისტმა „მილანში“ თავისი მწვრთნელობის დროინდელი პერიოდი გაიხსენა: „მაშინ გვინდოდა, „მილანში“ მხოლოდ იტალიელებს ეთამაშათ, თუმცა უცხოელი ფეხბურთელების შეძენაშიც ცუდს ვერაფერს ვხედავ. რატომ უნდა თქვა ლეგიონერზე უარი, როდესაც იგი შესანიშნავად თამაშობს და გამარჯვებისკენ მიისწრაფვის?!“

**ლადო ხომერიკი**

# სევილიური ღია კარის ტურები

„**სევილია**“ ერთადერთი გუნდია ესპანურ პრიმერადივიზიონში, რომელმაც წლეულს ლა ლიგაში ჩატარებულ თითო მატჩში, სულ ცოტა, ერთი გოლი მაინც გაუშვა. ანდალუზიელებმა ექვსი ტური ჩაატარეს, „ოსასუნასთან“ მატჩი კი ანტონიო პუერტას ტრაგიკული დაღუპვის გამო სადეკემბროდ გადაიდო.

როგორც ზემოთ ვთქვით, ჩატარებულ მატჩებში „სევილიას“ მისადგომები მეტოქეთათვის საკმაოდ ადვილად დასალაშქრი გამოდგა.

მიუხედავად ამისა, ანდალუზიელთა მეკარე ანდრეს პალოპი აცხადებს, რომ მაღალ დონეზე თამაშობს, თუმც საამსეზონოდ „სევილიას“ საერთო სისუსტესაც აღიარებს.

„რა თქმა უნდა, სასიამოვნოა იმაზე ფიქრი, რომ მაღალ დონეზე თამაშობ, თუმცა გუნდის შედეგებს თუ გადავხედავთ, აღმოვაჩენთ, რომ საქმე არცთუ ისე კარგადაა. „სევილიას“ არასახარბიელო შედეგებში თავს მთავარ დამნაშავედ სულაც არ ვთვლი, მარტო მეკარეს ნუ გავკიცხავთ, თავის დაცვა ცენტრალური თავდამსხმელიდან იწყება და ჩვენი საერთო სისუსტეც ადვილი შესამჩნევია. აი, ყველაზე მეტად ამის მოწესრიგება გვმართებს“ — უთხრა გოლკიპერმა ესპანურ „მარკას“.

მეკარე იმას არც შეუშინებია, რომ „სევილიას“ მთავარმა მწვრთნელმა ხუანდე რამოსმა მომავალი რამდენიმე მატჩისთვის სათადარიგო მორგან დე სანქტისი ძირითადშისთვის შეიგულა.

„შემადგენლობის შერჩევა მწვრთნელის პრეროგატივაა და მის გადაწყვეტილებას პატივი უნდა ვცეთ. ცხადია, ჩემი სურვილია, ყველა მატჩში ვითამაშო, მაგრამ თუ რამოსმა დე სანქტისის მოედანზე გაყვანა საჭიროდ ჩათვალა, ამას არ გავაპროტესტებ — მარტოკაცი ომს ვერ მოიგებს და თავის გამოჩენის საშუალება ყველას სჭირდება“.

**ლადო ხომერიკი**

რამდენიმე დღის წინ „აიაქსის“ ფორვარდმა კლაას-იან ჰუნტელაარმა საფეხბურთო ამუნიციითა და სხვადასხვა ნივთებით სავსე დიდი ჩანთით ხანგრძლივი ვარჯიშის შემდეგ ამსტერდამული კლუბის საწვრთნელი ბაზა დატოვა და გასახდელისკენ დაიძრა. იქ მას პატარა ბავშვები ელოდნენ, რომლებსაც ერთი სული ჰქონდათ, ახალგაზრდა ვარსკვლავის ავტოგრაფი მიეღოთ. სწორედ ამ დროს მივიდა თავდამსხმელთან, რომელსაც თანაგუნდელები და ქომაგები „მონადირეს“ ეძახიან, FIFA.COM-ის ჟურნალისტი და...



# ჰუნტელაარზე ზეწოლას ჰუნტელაარი ახდენს

— ამ ზაფხულს „აიაქსი“ უესლი სნეიდერმა და რაიან ბაბელმა დატოვეს. არ ნანობთ, რომ თქვენც არ გადახვედით რომელიმე სხვა დიდ კლუბში?

— ნამდვილად არა. სიმართლე გითხრათ, მეგონა, სნეიდერი დარჩებოდა. მან პრესკონფერენციაც მოაწყო და თქვა, არსად მივდივარო. თუმცა მერე მას მადრიდის „რეალმა“ ბრწყინვალე წინადადება შესთავაზა და აზრი შეიცვალა. მე გული არ დამწყვეტია, „აიაქსში“ ბედნიერი ვარ, მაგრამ სნეიდერის წასვლამ დაგვასუსტა, ამას კი არ ველოდი.

— ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის მიღმა დარჩენა ალბათ ძნელი შესაგუებელი იყო. რითი ახსნით ამ წარუმატებლობას?

— ჩემპიონთა ლიგაში თამაში ძალიან მინდოდა და, რა თქმა უნდა, გული დამწყდა. თუმცა ჯგუფურ ეტაპზე გასვლას არ ვიმსახურებდით. როცა ორ თამაშში ერთი გოლიც ვერ გაგაქვს, ფინალურ ეტაპზე გასვლის ღირსი არ ხარ. „სლავიასთან“ შეხვედრებში ცუდად გამოვიყურებოდით, მეტოქემ თავისი თამაში მოგვახვია. ჩემს თავზე ძალიან გავბრაზდი, რადგან ჩეხებთან პირველ მატჩში 0:0-ზე პენალტი ვერ გავიტანე და მალევე აქეთ გავუშვით გოლი. სეზონი სულ ახალი დაწყებული იყო და ალბათ ამის ბრალიც გახლდათ, რომ ფორმაში არ ვიყავით.

— დაახლოებით რამდენი გოლის გატანას აპირებთ ამ სეზონში?

— ეს გუნდზეც არის დამოკიდებული. თუ კარგად არ ვითამაშებთ, ჩემი მიზნის მიღწევა ძნელი იქნება. მიზნად კი 25-35 გოლის გატანა დავისახე. უფრო მეტიც თუ შევძელი, საოცარი იქნება და ძალიან გამიხარდება. ისე, ჰოლანდიის ჩემპიონატისთვის 20-25 გოლი ნორმალური შედეგია.

— რომელ სათამაშო ასპექტში გინდათ, რომ მოუმატოთ?

— ყველა ასპექტზე უნდა იმუშავო, მაგრამ, ჩემი აზრით, ფიზიკური მომზადება მთავარია, ეს დიდ მატჩებშიც კარგად ჩანს. სწრაფად და მწვავედ უნდა ვითამაშო პირველიდან ბოლო წუთამდე.

— რატომ წამოხვედით პსვ-დან?

— იქ ორი წელი ვიყავი, 18-ის რომ გავხდი, „გრააფსხაპში“ გამანათხოვრეს, მერე „აპელდორნში“ ვიყავი იჯარით, ხოლო როცა პსვ-ში დავბრუნდი, არ მათამაშებდნენ და არაფერი განსაკუთრებული არ შემოუთავაზებიათ. მე კი მინდორზე ყოფნა და პროგრესირება მინდოდა. ისე, ბავშვობიდან „აიაქსს“ ვქომაგობდი და აქ გადმოსვლით ოცნება ავიხდინე.

— უფრო ძლიერ ჩემპიონატში გადასვლას თუ გეგმავთ, როგორიც, მაგალითად, პრემიერლიგაა?

— სიამოვნებით ვითამაშებდი. პრემიერლიგის დიდი ქომაგი ვარ, იქაური ატმოსფეროს, ვნების, ისტორიისა და ფანების ენთუზიაზმის გამო. ინგლისის ჩემპიონატში თავს თუ გამოიჩენ, ეს ბევრს ნიშნავს. მომწონს პრიმერადივიზიონიც და უარს არც იტალიისა და გერმანიის ჩემპიონატებზე ვიტყვი. საფრანგეთშიც კი სიამოვნებით ვითამაშებდი.

— ეროვნულ ნაკრებზეც ვთქვათ. იოჰან კრუიფის მერე ჰოლანდიის ყველა თაობას ჰყავს ბრწყინვალე თავდამსხმელი — მარკო ვან ბასტენი, პატრიკ კლუივერტი, რუუდ ვან ნისტელროი... ბევრის აზრით, შემდეგი თქვენ ხართ. ამის გამო დამატებით ზეწოლას ხომ არ გრძნობთ?

— ერთადერთი ზეწოლა, რომელსაც ვგრძნობ, ისაა, რომელსაც საკუთარ თავზე თავად ვახდენ. ჩემთვის დიდი პატივია, რომ ეროვნულ ნაკრებში ისევ გამომიძახეს, მაგრამ არანაირი ზეწოლის არ მეშინია.

— ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა მარკო ვან ბასტენმა აქცენტი ახალგაზრდებზე გააკეთა — თქვენი აზრით, ჰოლანდიაში კვლავ ახალი თაობის დრო მოვიდა?

— კარგი მომავალი თაობა გვყავს, რომელმაც იცის, რა უნდა გააკეთოს. თითოეულმა ჩვენგანმა მაქსიმალურად უნდა ვცადოთ, ერთად გავაკეთოთ ისეთი რამ, რასაც ცალ-ცალკე ვერ შევძლებთ. მართლაც ძალიან ბევრი 20-24 წლის უნიჭიერესი ფეხბურთელი გვყავს, მაგრამ მთავარია, შეკრული გუნდი შევქმნათ, ვიდრე ინდივიდუალურ ოსტატობას და ცალკეულ მოთამაშეებს დავეყრდნოთ. ამის ნათელი მაგალითი 2004 წლის საბერძნეთის ნაკრებია. როცა ბევრი ვარსკვლავი გყავს, მწვრთნელის საქმეც ერთიორად რთულდება, რადგან მან ძალიან ფრთხილად და სწორად უნდა აირჩიოს შემადგენლობა, ეს კი ძნელია. ფანებიც ძალიან ბევრს ელიან და უფრო იზრდება მათი გაწბილების შანსი.

— ვარსკვლავად ძალიან ახალგაზრდა ასაკში იქეცით. როგორ იმოქმედა ამან თქვენზე?

— მე მხოლოდ თამაშზე ვარ კონცენტრირებული და არ მაინტერესებს, პრესაში რას ამბობენ ჩემზე, გაზეთებსაც იშვიათად ვკითხულობ. ნამდვილად არ მაღელვებს ის ყველაფერი, რაც მინდორს მიღმა ხდება, ცხადია, ფანების გარდა. პოპულარობა და ცნობადობა კი ზოგჯერ სასიამოვნო არ არის, მაგრამ ეს ფეხბურთელის საქმის და კარიერის შემადგენელი ნაწილია.

— ავტოგრაფების დარიგებას და ფანებთან ერთად სურათების გადაღებასაც თქვენი საქმის ნაწილად თვლით?

— რასაკვირველია. ეს ჩვეულებრივი ამბავია. როცა პატარა ვიყავი, მეც მქონდა ცნობილი ფეხბურთელების პოსტერები ჩემს ოთახში და მათთან შეხვედრაზე ვოცნებობდი. ჩემთვის ეს ნორმალური და სასიამოვნო მოვლენაა. ამგვარ სიტუაციებში თუ ერთი ბავშვისთვის ვჩერდები, ესე იგი, დანარჩენებისთვისაც ვჩერდები და გულდაწყვეტილს არც ერთს არ ვტოვებ.

# ფიფას 30 რჩეული

**ფიფამ** გუშინ 30-კაციანი სია გამოაქვეყნა, რომელთაგანაც მსოფლიოს 2007 წლის საუკეთესო ფეხბურთელს გამოავლენს.

დაჯილდოების ცერემონია 17 დეკემბერს ციურიხში გაიმართება.

ნუსხაში 2006-ის მუნდიალის მოგები ხუთი იტალიელი მოთამაშეა. იტალიელებზე ერთით ნაკლები, ოთხ-ოთხი კანდიდატი ჰყავთ ინგლისელებს და ფრანგებს.

ჯანლუიჯი ბუფონი, ფაბიო კანავარო, ჯენარო გატუზო, ალესანდრო ნესტა, ანდრეა პირლო (იტალია), ტიერი ანრი, ფრანკ რიბერი, ლილიან ტურამი, პატრიკ ვიეირა (საფრანგეთი), ფრენკ ლამპარდი, უეინ რუნი, ჯონ ტერი, სტივენ ჯერარდი (ინგლისი), ლიონელ მესი, ხუან რომან რიკელმე, კარლოს ტევესი (არგენტინა), ჟუნინიო, კაკა, რონალდინიო (ბრაზილია), მიროსლავ კლოზე, ფილიპ ლამი (გერმანია), კრიშტიანუ რონალდუ, დეკუ (პორტუგალია), სამუელ ეტოო (კამერუნი), დიდიე დროგბა (კოტ დიუვარი), ფერნანდო ტორესი (ესპანეთი), მიკაელ ესიენი (განა), რაფაელ მარკესი (მექსიკა), რუუდ ვან ნისტელროი (ჰოლანდია), პეტრ ჩეხი (ჩეხეთი).

## დაბნეული რომანი

**მოსკოვის** „სპარტაკის“ ფორვარდ რომან პავლიუჩენკოს სასტუმრო შეეშალა და ამის გამო ნაკრებს დაგვიანებით შეუერთდა. იგი ტვერსკაიაზე „მერიოტში“ მივიდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ გუნდი იქ არ იყო. მერე თანაგუნდელ დმიტრი ტორბინსკის დაურეკა, რომელმაც მისამართი ასწავლა — მეტრო „სმილენსკაისთან“, სასტუმრო „ზალოტოე კალცო“.

საცობების გამო პავლიუჩენკოს ადგილზე მისვლა და 20 წუთით დააგვიანდა, თუმც გუუს ჰიდინკის რისხვას გადაურჩა.

## სპორტინგს რუსები მოეწონა

**ლისაბონის** „სპორტინგს“ მოსკოვის „სპარტაკიდან“ დმიტრი ტორბინსკის ყიდვა სურს, რომლითაც „ლოკომოტივიცაა“ დაინტერესებული.

24 წლის ნახევარმცველის გადაბირებას პორტუგალიური კლუბი ზამთრის სატრანსფერო ფანჯრისას აპირებს.

„სპორტინგში“ თამაშობს მარატ იზმაილოვი, რომელიც კარგად ჩაეწერა გუნდში და ლისაბონელებს კიდევ ერთი რუსი უნდათ.

ტორბინსკი „სპარტაკში“ თვეში 80 ათას დოლარს იღებს და კლუბი ახალი კონტრაქტით 100 ათასს სთავაზობს, „ლოკომოტივი“ კი — უფრო მეტს.

## მსუბუქი ყოფაქცევის კლუბი

**იტალიის** მეოთხელიგელი „ტრენტინო“ სპონსორის ძებნაში CASA BIANCA-ს („თეთრი სახლი“) მიადგა. ამიერიდან კლუბის ოფიციალურ ვებგვერდზე „თეთრი სახლის“ რეკლამა განთავსდება, სანაცვლოდ კი გუნდმა 10 ათასი ევრო მიიღო.

CASA BIANCA სააგენტოა, რომელიც კლიენტებს მეძავებს სთავაზობს, ანუ გოგონები გამოძახებით.

9 ოქტომბერს იმდენი კაცი „შევიდა“ ვებგვერდზე, რომ გვერდი გაიჭედა.

ქალაქ ტრენტინოს მთავრობის წევრმა ივა ბერაზიმ, ვისაც სპორტის საქმეების მიხედვა ევალება, განაცხადა, რომ თავს შეურაცხყოფილად გრძნობს კლუბის საქციელის გამო.

## სიტყვის პრეზიდენტი

**„ვალიადოლიდის“** მწვრთნელმა ხოსე ლუის მენდილიბარმა კლუბთან კონტრაქტი 2010 წლამდე გაახანგრძლივა.

ხელშეკრულების განახლება სეზონის დასაწყისშივე იგეგმებოდა, რადგან გუნდმა ჩემპიონატი კარგად დაიწყო, ახლა კი უკლო, მაგრამ პრეზიდენტი კარლოს სუარესი და სპორტული დირექტორი ხოსე ლუის პერეს კამინერო სიტყვას არ გადავიდნენ და მწვრთნელს კონტრაქტი გაუგრძელეს.

## ტამანისაუს სიმამრი

**ახალი ზელანდიის** საკონსულომ ფიჯის ნაკრების მეკარე სიმონე ტამანისაუს ვიზა არ მისცა, რადგან მისი სიმამრი სამხედრო მოსამსახურეა. ახალი ზელანდია არ ცნობს ფიჯის მილიტარისტულ მთავრობას, რომელიც ხელისუფლებაში დეკემბერში აჯანყებით მივიდა.

ზელანდიელები ფიჯელებს მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში უმასპინძლებენ.

სტუმართა ფეხბურთის ფედერაციის შეფმა საიუ ხანმა მეკარის დაჩაგვრის გამო ფიფაში წერილი აფრინა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# კლაუდიო, ეს თამაში მიყიდე, რა...
## ლაციოს მწვრთნელი დიდ შარშია



დელიო როსი



კლაუდიო ლოტიტო

**რომის** „ლაციოს" მწვრთნელი დელიო როსი შარში გაეხვა. იტალიის ფეხბურთის ფედერაცია მას თამაშის ყიდვის მცდელობაში ადანაშაულებს. როსის მალე დაკითხავენ და ალბათ გამოძიებაც დაიწყება.

2005-06 წლების სეზონში მაქინაციებისთვის „ლაციო" უკვე დაისაჯა, მაგრამ ახლა ახალი ფაქტი ამოტივტივდა — 2006 წლის 30 აპრილს „ბიანკონერესტიმ" „ლეჩეს" 1:0 მოუგო და, როგორც ირკვევა, ამ მატჩის წინ როსის კლუბის პრეზიდენტ კლაუდიო ლოტიტოსთვის უთხოვია, იქნებ ლეჩელები როგორმე მოვთაფლოთო. ყველაფერი უფრო დეტალურად უახლოეს დღეებში გაირკვევა.

აღსანიშნავია, რომ იტალიის ფეხბურთის ფედერაციას არცთუ სუფთა რეპუტაციის მქონე ლოტიტოზე მასალებს შეგროვებისას მისი და როსის ერთ-ერთი სატელეფონო საუბრის ჩანაწერი ჩაუვარდა ხელში და ეს ამბავიც სწორედ აქედან დაიწყო.

**კოკი კანდელაკი**

# რა დელ პიერო, რის დელ პიერო?!

**„მილანის"** ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ უარყო „იუვენტუსის" კაპიტან ალესანდრო დელ პიეროს „როსონერიში" გადასვლის შესაძლებლობა. მისი თქმით, მილანელთა მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ იხუმრა, როცა განაცხადა — გამორიცხული არ არის, დელ პიერო დავიმატოთო.

„დელ პიერო „მილანის" გეგმებში არ შედის. ცოტა ხნის წინ ანჩელოტიმ თქვა, შესაძლოა, ალექსი დავიმატოთო, მაგრამ ეს უბრალო ხუმრობა გახლდათ და მას ვუთხარი, რომ ასეთი კომენტარების გაკეთებისგან თავი შეიკავოს. დელ პიეროს დამატება მაშინ შეიძლებოდა, როცა ის ჯერ კიდევ „პადოვაში" თამაშობდა, მაგრამ ძალიან ძვირი იყო, და საბოლოოდ იგი „იუვემ" იყიდა" — განაცხადა გალიანიმ.

„მილანს" „ბიანკონერის" მეკარის ჯანლუიჯი ბუფონის შეძენა კი ნამდვილად უნდოდა, მაგრამ ეს ტრანსფერი არ შედგა. ამბობდნენ, გარიგება იმიტომ ჩაიშალა, რომ „როსონერის" პრეზიდენტმა სილვიო ბერლუსკონიმ შესაძლო ტრანსფერს ვეტო დაადოო. თუმცა გალიანიმ ესეც უარყო.

„ჩვენ გვინდოდა ბუფონის ყიდვა, მაგრამ „იუვენტუსის" პრეზიდენტმა ჯოვანი კობოლი ჯილიმ გვითხრა, იგი არანაირ თანხად არ იყიდებაო. ტრანსფერი ამიტომ არ შედგა, ბერლუსკონი არაფერ შუაშია" — დასძინა „მილანის" ვიცე-პრეზიდენტმა.

**გიორგი კაკაბაძე**

# ორსი პირველია
## ლივორნოს კამოლეზე დაუნიშნეს



ფერნანდო ორსი ჯანკარლო კამოლეზემ შეცვალა



**სერია A-ში** მთავარი მწვრთნელის მოხსნის „დოლი" ფერნანდო ორსიმ „მოიგო". მიმდინარე იტალიის ჩემპიონატში იგი პირველი დათხოვნილი მწვრთნელი გახდა. „ლივორნოს" პრეზიდენტმა ალდო სპინელიმ ორსი სამშაბათს სალამოთი დაითხოვა. არადა, ცოტა ხნით ადრე ამბობდა, მის გაშვებას ჯერ არ ვაპირებ მიუხედავად კლუბის ცუდი შედეგებისაო. 7 ტურის შემდეგ ტოსკანელების მოგების გრაფაში ნული წერიათ და ორი ქულით ცხრილის ფსკერზე არიან.

ორსი „ლივორნოში" წინა სეზონში სერია A-ს დამთავრებამდე რვა ტურით ადრე დანიელე არიგონის ნაცვლად მივიდა. მის ხელში ტოსკანელებმა 18 მატჩი ჩაატარეს, სამი მოიგეს, ოთხჯერ ფრედ ითამაშეს და ცხრაჯერ დამარცხდნენ.

„ამარანტოს" ახალი მწვრთნელის მოსაძებნად დიდი დრო არ დასჭირვებია — გუნდს ამიერიდან ჯანკარლო კამოლეზე უთავკაცებს, რომელიც სიამოვნებით დათანხმდა სპინელის შეთავაზებას.

მხარეებმა 2009 წლის ზაფხულამდე გააფორმეს კონტრაქტი.

„კამოლეზეზე რამდენიმე ფაქტორის გამო შევჩერდით. იგი ახალგაზრდა, ამბიციური და ნიჭიერი მწვრთნელია. მას მშვენიერი იდეები აქვს, თუ როგორ უნდა მოვემზადოთ და ვითამაშოთ. ფეხბურთელებმა ჩვენი არჩევანი მოიწონეს. გენერალური დირექტორი ელიო სინიორელი და მენეჯერი სილვანო ბონი რამდენიმე საათი ესაუბრნენ კამოლეზეს და ისინიც კმაყოფილნი არიან" — თქვა სპინელიმ.

კამოლეზეს სერია A-ში მუშაობის არცთუ დიდი გამოცდილება აქვს, მაგრამ სპინელი მაინც ოპტიმისტურადაა განწყობილი. 46 წლის სპეციალისტმა 2003-04 წლების სეზონში „რეჯინა" გავარდნას გადაარჩინა, მაგრამ იგი ვალტერ მაცარით მაინც შეცვალეს.

**კოკი კანდელაკი**

## ქაღალდი მზადაა

**„ფიორენტინას"** რიკარდო მონტოლივოსთან კონტრაქტის გახანგრძლივება სურს. შემტევ ნახევარმცველს ხელშეკრულება 2010-ში უმთავრდება, „იები" კი ნიჭიერი ფეხბურთელის შენარჩუნებას ცდილობენ და გარიგების 2012-მდე გაგრძელებას სთავაზობენ.

ქაღალდები უკვე მზადაა და მონტოლივო ალბათ სანაკრებო მატჩების შემდეგ ხელს მოაწერს.

მას ანდრეა პირლოს ადარებენ, „ფიორენტინაში" კი 2005 წელს „ატალანტადან" გადავიდა.

## ინტერი ორს აკვირდება

**„ტორინოს"** ფეხბურთელებს — სიმონე ბარონეს და მატეო რუბინს — „ინტერი" აკვირდება.

ცნობილია, რომ „შავ-ლურჯთა" მწვრთნელ რობერტო მანჩინის ბარონეს თამაში ძალიან მოსწონს, რუბინი კი მილანური კლუბის სასურველ ფეხბურთელთა სიას ახლახან შეემატა.

„ტორინომდე" ბარონე „პალერმოში" და „პარმაში" იყო, რუბინმა კი სერია C1-ის „ჩიტადელაში" ორი სეზონი გაატარა.

## ფოჯას ნეაპოლური გული

**„კალიარის"** ნახევარმცველ პასკუალე ფოჯას „მილანი" ეპატიჟება, მაგრამ 24 წლის ფეხბურთელს გული „ნაპოლისკენ" მიუწევს.

— „მილანი" დიდი კლუბია და იქ თამაშს ალბათ არავინ თუარებს, მაგრამ ჩემი გული „ნაპოლის" ეკუთვნის, რადგან 10 წელზე მეტია, მათ ვქომაგობ".

ფოჯა ამ სეზონში კარგ ფორმაშია და ეროვნულ ნაკრებშიც გამოიძახეს.

## ოლივიე ფანჯარაში

**ზამთრის** სატრანსფერო ფანჯრისას „ლიონი" „ინტერიდან" ოლივიე დაკურის შეძენას შეეცდება. 33 წლის ფრანგი ნახევარმცველის კონტრაქტი „შავ-ლურჯებთან" 2008-ის ზაფხულში იწურება და კლუბს გახანგრძლივება არ შეუთავაზებია.

ამ სეზონში დაკურმა სერია A-ში ხუთი მატჩი ითამაშა.

## გერმანიას სამი გამოაკლდა

**ტიმ ბოროვსკი** გერმანიის ნაკრებს ვერ დაეხმარება ირლანდიასთან და და ჩეხეთთან ევროშესარჩევ მატჩებში, რადგან „ვერდერის" ნახევარმცველს წელი სტკივა. მან ტრავმის გამო აგვისტოში ინგლისთან ამხანაგური შეხვედრაც გამოტოვა.

დაშავებულნი არიან აგრეთვე მიხაელ ბალაკი და მიროსლავ კლოზეც.

გერმანია ზეგ ირლანდიას შეხვდება, 17 ოქტომბერს კი — ჩეხეთს.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ტოტის ასაკი ცოლმა გაამხილა

## რომაელთა კაპიტანი და ლიდერი მწვრთნელობას არ აპირებს



**ფრანჩესკო ტოტი**, რომელიც 27 სექტემბერს 31 წლის გახდა, სერია A-ს და არა მარტო სერია A-ს მცველებს კიდევ 4 წელი დაატერორებს.

ყოველ შემთხვევაში, მისი ცოლის, ილარი ბლაზის თქმით, ასე იქნება.

„იგი თითქმის ყოველ დილით ვარჯიშზე მიდის. ჩემთან და ბავშვებთან ერთად კი, ფაქტობრივად, მხოლოდ შუადღეს არის. ნამდვილად მეტი დრო გვჭირდება დასასვენებლად და უქმეების ერთად გასატარებლად. იმედია, ეს ოდესმე მოხდება. მაშინ მაინც, როცა კარიერას დაასრულებს. ფრანჩესკო ფეხბურთიდან ალბათ 35 წლის ასაკში წავა" — თქვა ბლაზიმ.

ტოტიმ უკვე დაასრულა სანაკრებო კარიერა, ხოლო როცა საკლუბოსაც დაასრულებს, ალბათ „რომას" ხელმძღვანელობაში ერთ-ერთ პოსტს დაიკავებს.

„ვფიქრობ, იგი „რომაში" რომელიმე პოსტზე დარჩება, მაგრამ უკვე რამდენჯერმე მითხრა, რომ მწვრთნელობას არ აპირებს" — დასძინა ბლაზიმ.

**გიორგი ბაბაბაძე**



# მე და ჩემი მეგობრები

## კორდობამ კოლუმბია იუარა

**ივან რამირო კორდობა** კოლუმბიის ღირსების დაცვაზე უარს ამბობს, სანამ ნაკრების მწვრთნელი ხორხე პინტო იქნება. მილანის „ინტერის" მცველის დარად, პინტოს კიდეს რამდენიმე ფეხბურთელი აუჯანყდა.

„პინტოს ჩემი გადაწყვეტილების შესახებ „კოპა ამერიკის" დასრულების შემდეგ ვუთხარი: მე და ჩემი რამდენიმე თანამემამულე მას და მთლიანად ამჟამინდელ სამწვრთნელო შტაბს არ ვენდობით. მიუხედავად ამისა, პინტომ ბრაზილიასა და ბოლივიასთან მომავალი მატჩებისთვის გამომიძახა, თუმცა მას დავურეკე და ვუთხარი, რომ აზრი არ შემიცვლია და ჩემს ნაცვლად ნაკრებში სხვას უხმოს. ასეც მოხდა" — აღნიშნა „ინტერის" მცველმა.

კორდობა კოლუმბიის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ფეხბურთელია. შესაბამისად, მისი გადაწყვეტილების შესახებ ბევრი ჭორი აგორდა. თუმცა რატომ აუჯანყდა იგი და კიდევ რამდენიმე მოთამაშე პინტოს, უცნობია.

„კოლუმბიაში ჩემს შესახებ ბევრი რამ დაიწერა. უსაფუძვლო მითქმა-მოთქმის თავიდან ასაცილებლად ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებს წერილი მივწერე, რომელშიც მათ ყველაფერი ავუხსენი. ნაკრები მიყვარს და მისი ღირსების დაცვა ჩემთვის დიდი პატივია. კოლუმბიას ახლაც მთელი გულით ვუსურვებ წარმატებას, თუმცა პინტომ იცის სიმართლე და მიზეზი, თუ რატომ არ გვსურს მე და კიდევ რამდენიმე ფეხბურთელს მის ნაკრებში თამაში" — დასძინა კორდობამ.

საინტერესოა, რომ კოლუმბიის ახლანდელ ნაკრებში კოპაამერიკული განაცხადიდან მხოლოდ 9 ფეხბურთელია დარჩენილი.

**ბოძი ბანდელაძი**

# მესამე კაცი ჯენოას კარში

**იტალიურმა** „ჯენოამ" ახალგაზრდა მეკარე დამიანო ლანსა დაიმატა.

ეკვადორელს „არეცოსთან" კონტრაქტი ზაფხულში დაუმთავრდა და მას მერე თავისუფალი აგენტი გახლდათ. ლანსამ ახალ კლუბთან ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

იგი ამჟამად გენუელთა მესამე გოლკიპერად ითვლება.

„ძალიან მიხარია, რომ იტალიაში დარჩენის შანსი მომეცა, თან სერია A-ს გუნდში. იმედია, თავს გამოვიჩენ და ადრე თუ გვიან ძირითად შემადგენლობაში თამაშის საშუალებაც მომეცემა. „არეცოში" ილუზია გვქონდა, რომ სერია A გადავიდოდით, მაგრამ ეს შეუძლებელი გახდა. „არეცოს" დიდ მადლობას ვუხდი ყველაფრისთვის. მადლობელი ვარ „ჯენოასიც", რომელმაც ნდობა გამომიცხადა" — თქვა დამიანო ლანსამ.

**ბოძი ბანდელაძი**

# ბებერი ალექსი ბებერი ქალბატონია

**ალესანდრო დელ პიეროს** კვლავ ცუდი პერიოდი უდგას. მისი ძმა და აგენტი სტეფანო ჯერ ისევ უშედეგოდ აწარმებს მოლაპარაკებებს „იუვენტუსის" ხელმძღვანელობასთან.

ტურინელთა მწვრთნელი კლაუდიო რანიერი მას ხშირად ტოვებს სათადარიგოთა სკამზე, იტალიის ნაკრების თავკაცმა რობერტო დონადონიმ კი იგი საერთოდ არ გამოიძახა.

ყოფილი იუვენტუსელის ჯანლუკა ძამბროტას შემდეგ „პინტურიკო" „ბიანკონერის" მეკარემ ჯანლუიჯი ბუფონმა და კარგა ხნის მანძილზე მისმა მწვრთნელმა მარჩელო ლიპიმაც გაამხნევა.

„ალექსს ველაპარაკე და იგი კარგ განწყობაზე ნამდვილად არ არის. თუმცა ისიც ესმის, რომ ახლა საუკეთესო ფორმაში ვერაა, მაგრამ ამის გამოსასწორებლად თავს არ ზოგავს. რაც მთავარია, არ უნდა დაგვავიწყდეს ის ყველაფერი, რაც მან „იუვენტუსისთვის" გააკეთა" — განაცხადა ბუფონმა.

იტალიის ნაკრებისა და „იუვენტუსის" ექსმწვრთნელმა, ამჟამად ისევ უმუშევარმა მარჩელო ლიპიმ კი დელ პიეროს გარდა, ზოგადად, „ბებერ ქალბატონზეც" ილაპარაკა და აღნიშნა, მჯერა, ტურინელებს სკუდეტოს მოგება შეუძლიათ და დიდი შანსია, ასეც მოხდესო.

„დელ პიეროს მიმართ ძველებურ აზრზე ვარ, სალაპარაკოც არაფერია. მოკლედ გეტყვით: დელ პიერო არის „იუვენტუსი". რაც შეეხება „ბებერი ქალბატონის" შანსებს სკუდეტოსთვის ბრძოლაში, მჯერა, სერია A-ს მოგება ძალუძს. ჩემი აზრით, „იუვე" მარტამდე კონკურენტებთან ერთად ცხრილის სათავეში იტრიალებს, მერე კი ევროტურნირებზე მოთამაშე კლუბების გასწრებას დაიწყებს და წინ გაიჭრება. ის, რომ ტურინელები ევროსარბიელზე არ თამაშობენ, მათთვის დიდი უპირატესობაა ჩემპიონობისთვის ბრძოლაში" — აღნიშნა ლიპიმ.

რობერტო დონადონი: „განაცხადს მიღმა ყველა ფეხბურთელის დატოვება ძნელია, მარტო დელ პიეროსი კი არა. 33 წლის ასაკში მისთვის უფრო რთული იქნება ფორმის აღდგენა, ვიდრე ადრე იყო, თუმცა მთავარია, მონდომებულია. ჩემი გადაწყვეტილებები პირადულ ურთიერთობებზე არასდროს არ არის დამოკიდებული. ყველა მოთამაშეს ერთნაირად ვაფასებ და მათ იმის მიხედვით ვარჩევ, თუ როგორ ითამაშეს ბოლო მატჩებში და როგორ ფორმაში არიან. ეს დელ პიეროსა და ფილიპო ინძაგისაც ვუთხარი. მესმის, რომ მათ სულ ნაკრებში მოხვედრა სურთ, ასეც უნდა იყოს, თუმცა დრო ყველასთვის გადის. ეს კარგად ვიცი, რადგან ფეხბურთელი მეც ვიყავი და ყოველთვის ვგრძნობდი, როდის ვიყავი ფორმაში და როდის — არა".

„ამჯერად დელ პიეროს „სკუადრა ადზურას" მიღმა დატოვება არ ნიშნავს, რომ მისი სანაკრებო კარიერა დასრულებულია. გადაწყვეტილებებს დონადონი იღებს, ჩვენ კი მას ბოლომდე ვენდობით" — თქვა იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ჯანკარლო აბეტემ.

შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ დელ პიერომ ულტიმატუმი წამოაყენა, ნახევარმცველად აღარ ვითამაშებ, ეს ჩემი პოზიცია არ არის და დონადონიმ თავდამსხმელად უნდა გამომიძახოს, რათა უფრო სასარგებლო ვიყოო.

ახლა „პინტურიკო" „იუვენტუსთან" კონტრაქტის გახანგრძლივებაზე გაწელილ მოლაპარაკებებზე არ საუბრობს, მაგრამ ნაკრებში რომ არ გამოიძახეს, გულდაწყვეტილია.

ალესანდრო დელ პიერო: „ძალიან ვწუხვარ, რომ „სკუადრა ადზურაში" არ გამომიძახეს საქართველოსთან მატჩისთვის. თუმცა ნაკრებს, ცხადია, წარმატებებს ვუსურვებ".

**გიორგი ბაბაბაძე**


მარჩელო ლიპი

# სარბიელი და კრიკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. I ლიგა** | | | | | | |
| | | 12 ოქტომბერი | | | | | | |
| 22:45 | 3 | ტრანმერი-უოლსოლი | 1.75 | 3.20 | 4.10 | 1.13 | 1.22 | 1.79 |
| 22:45 | 8 | ჰარტლპული-როვერსი | 1.90 | 3.20 | 3.50 | 1.19 | 1.23 | 1.67 |
| | | 13 ოქტომბერი | | | | | | |
| 16:00 | 1 | პორტ ვეილი-ბრაიტონი | 2.30 | 3.20 | 2.70 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| 16:00 | 2 | საუთენდი-ქრიუ | 1.55 | 3.40 | 5.15 | 1.06 | 1.19 | 2.04 |
| 16:00 | 5 | იოვილი-კარლაილი | 2.20 | 3.20 | 2.80 | 1.30 | 1.23 | 1.49 |
| 16:00 | 6 | ჩელტენემი-ნოტინგემი | 3.65 | 3.25 | 1.85 | 1.71 | 1.22 | 1.17 |
| 15:00 | 7 | ჯილინგემი-მილუოლი | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| 18:00 | 9 | ლიდსი-ლეიტონი | 1.50 | 3.50 | 5.65 | 1.04 | 1.18 | 2.16 |
| | | 14 ოქტომბერი | | | | | | |
| 17:00 | 4 | ბორნმუთი-სუონსი | 2.80 | 3.30 | 2.15 | 1.51 | 1.21 | 1.30 |
| 19:00 | 11 | დონკასტერი-ჰადერსფილდი | 1.85 | 3.25 | 3.65 | 1.17 | 1.22 | 1.71 |
| | | 15 ოქტომბერი | | | | | | |
| 22:45 | 12 | ლუტონი-ნორთჰემპტონი | 1.85 | 3.25 | 3.65 | 1.17 | 1.22 | 1.71 |
| | | **ინგლისი. II ლიგა** | | | | | | |
| | | 12 ოქტომბერი | | | | | | |
| 22:45 | 13 | მორიკომბი-ბრედფორდი | 2.15 | 3.25 | 2.90 | 1.29 | 1.23 | 1.53 |
| 22:45 | 18 | ბრენტფორდი-როტერჰემი | 2.20 | 3.25 | 2.75 | 1.31 | 1.22 | 1.48 |
| 22:45 | 19 | ჩესტერი-ჰერეფორდი | 2.15 | 3.20 | 2.90 | 1.28 | 1.23 | 1.52 |
| 22:45 | 22 | გრიმსბი-როჩდეილი | 2.15 | 3.25 | 2.90 | 1.29 | 1.23 | 1.53 |
| | | 13 ოქტომბერი | | | | | | |
| 15:30 | 14 | ნოტსი-ბერი | 1.90 | 3.25 | 3.50 | 1.19 | 1.23 | 1.68 |
| 16:00 | 16 | ბარნეტი-მენსფილდი | 1.60 | 3.30 | 4.90 | 1.07 | 1.20 | 1.97 |
| 18:00 | 17 | შრიუსბერი-ჩესტერფილდი | 2.25 | 3.25 | 2.70 | 1.32 | 1.22 | 1.47 |
| 15:30 | 23 | მაკლსფილდი-რექსემი | 1.95 | 3.25 | 3.30 | 1.21 | 1.22 | 1.63 |
| | | 14 ოქტომბერი | | | | | | |
| 17:00 | 15 | პიტერბრო-უიკომბი | 1.80 | 3.20 | 3.90 | 1.15 | 1.23 | 1.75 |
| 16:00 | 20 | დაგ ენდ რედი-აკრინგტონი | 2.00 | 3.25 | 3.20 | 1.23 | 1.23 | 1.61 |
| 17:00 | 21 | დარლინგტონი-სტოკპორტი | 1.65 | 3.30 | 4.50 | 1.10 | 1.20 | 1.90 |
| 16:30 | 24 | დონსი-ლინკოლნი | 1.40 | 3.70 | 6.20 | 1.01 | 1.14 | 2.31 |
| | | **ინგლისი. კონფერენსი** | | | | | | |
| | | 11 ოქტომბერი | | | | | | |
| 22:45 | 33 | ოქსფორდი-ტორკი | 2.50 | 3.10 | 2.50 | 1.38 | 1.25 | 1.38 |
| | | 12 ოქტომბერი | | | | | | |
| 22:45 | 37 | ვეიმუთი-ქროული | 2.15 | 3.20 | 2.80 | 1.28 | 1.21 | 1.49 |
| 22:45 | 47 | რაშდენი -ფორესტ გრინი | 2.20 | 3.20 | 2.70 | 1.30 | 1.21 | 1.46 |
| | | 13 ოქტომბერი | | | | | | |
| 18:00 | 38 | ნორთვიჩი-ექსეტერი | 4.30 | 3.20 | 1.70 | 1.83 | 1.21 | 1.11 |
| 16:00 | 39 | უოკინგი-იორკი | 1.95 | 3.20 | 3.20 | 1.21 | 1.21 | 1.60 |
| 18:00 | 40 | ბარტონი-ალდერშოტი | 2.15 | 3.20 | 2.80 | 1.28 | 1.21 | 1.49 |
| 18:00 | 41 | სტეფორდი-კემბრიჯი | 3.50 | 3.20 | 1.90 | 1.67 | 1.23 | 1.19 |
| 18:00 | 42 | ჰისტონი-კიდერმინსტერი | 2.05 | 3.20 | 3.00 | 1.24 | 1.21 | 1.54 |
| 18:00 | 43 | სალისბერი-ალტრინჰემი | 1.55 | 3.50 | 5.00 | 1.07 | 1.18 | 2.05 |
| 18:00 | 48 | ებსფლითი-დროილსდენი | 1.50 | 3.60 | 5.20 | 1.05 | 1.16 | 2.12 |
| | | 14 ოქტომბერი | | | | | | |
| 18:00 | 44 | ფარსლი-ოქსფორდი | 2.65 | 3.20 | 2.30 | 1.44 | 1.23 | 1.33 |
| 17:00 | 46 | ტორკი-სტივენეჯი | 2.05 | 3.20 | 3.10 | 1.24 | 1.23 | 1.57 |
| | | **შოტლანდია. III დივიზიონი** | | | | | | |
| | | 12 ოქტომბერი | | | | | | |
| 22:45 | 467 | მონტროუზი-ელგინი | 1.65 | 3.70 | 3.80 | 1.14 | 1.15 | 1.87 |
| | | **იტალია. სერია B** | | | | | | |
| | | 14 ოქტომბერი | | | | | | |
| 17:00 | 49 | რავენა-ტრიესტინა | 2.15 | 2.80 | 3.40 | 1.21 | 1.31 | 1.53 |
| 17:00 | 50 | რიმინი-აველინო | 1.35 | 3.70 | 8.50 | 1.00 | 1.16 | 2.57 |
| 17:00 | 51 | ტრევიზო-ვიჩენცა | 1.85 | 2.80 | 4.50 | 1.11 | 1.31 | 1.72 |
| 17:00 | 52 | ალბინოლეფე-პიზა | 2.05 | 2.80 | 3.70 | 1.18 | 1.31 | 1.59 |
| 17:00 | 53 | ასკოლი-კიევო | 2.40 | 2.70 | 3.00 | 1.27 | 1.33 | 1.42 |
| 17:00 | 55 | ფროზინონე-ბარი | 2.10 | 2.70 | 3.70 | 1.18 | 1.33 | 1.56 |
| 17:00 | 56 | გროსეტო-მესინა | 2.30 | 2.70 | 3.20 | 1.24 | 1.33 | 1.46 |
| 17:00 | 57 | ლეჩე-სპეცია | 1.45 | 3.40 | 7.50 | 1.01 | 1.21 | 2.33 |
| 17:00 | 58 | მოდენა-ჩეზენა | 1.70 | 2.90 | 5.50 | 1.07 | 1.29 | 1.89 |
| 17:00 | 59 | პიაჩენცა-ბოლონია | 3.10 | 2.80 | 2.30 | 1.47 | 1.32 | 1.26 |
| | | **ესპანეთი. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | 13 ოქტომბერი | | | | | | |
| 20:00 | 78 | ეხიდო-კადისი | 2.55 | 3.00 | 2.55 | 1.37 | 1.27 | 1.37 |
| 20:00 | 82 | ალბასეტე-სელტა | 2.85 | 3.10 | 2.25 | 1.48 | 1.25 | 1.30 |
| 20:00 | 85 | ალავესი-ჰერკულესი | 2.55 | 3.00 | 2.55 | 1.37 | 1.27 | 1.37 |
| | | 14 ოქტომბერი | | | | | | |
| 19:00 | 79 | ლას პალმასი-სევილია ბ | 2.45 | 3.00 | 2.70 | 1.34 | 1.28 | 1.42 |
| 22:30 | 80 | ელჩე-მალაგა | 3.00 | 3.10 | 2.15 | 1.52 | 1.25 | -1.26 |
| 19:00 | 81 | სერესი-ტარაგონა | 2.25 | 3.10 | 2.90 | 1.30 | 1.26 | 1.49 |
| 19:00 | 83 | ნუმანსია-სოსიედადი | 2.20 | 3.10 | 3.00 | 1.28 | 1.26 | 1.52 |
| 20:00 | 84 | სპორტინგი-ფეროლი | 1.75 | 3.20 | 4.20 | 1.13 | 1.23 | 1.81 |
| 19:00 | 86 | კორდობა-სალამანკა | 1.85 | 3.00 | 4.10 | 1.14 | 1.27 | 1.73 |
| 19:00 | 87 | კასტელონი-ტენერიფე | 1.95 | 3.10 | 3.50 | 1.19 | 1.25 | 1.64 |
| 19:00 | 88 | ეიბარი-გრანადა | 1.95 | 3.00 | 3.70 | 1.18 | 1.27 | 1.65 |
| | | **ჰოლანდია. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | 12 ოქტომბერი | | | | | | |
| 22:00 | 102 | კამბური-იგლზი | 2.35 | 3.20 | 2.60 | 1.35 | 1.23 | 1.43 |
| 22:00 | 103 | ემენი-ჰელმონდი | 2.25 | 3.20 | 2.80 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| 22:00 | 104 | ჰაარლემი-სიტარდი | 1.90 | 3.30 | 3.55 | 1.20 | 1.23 | 1.71 |
| 22:00 | 105 | ვოლენდამი-დენ ბოსხი | 2.20 | 3.20 | 2.90 | 1.30 | 1.25 | 1.52 |
| 22:00 | 106 | დორდრეხტი-ომნივორლდი | 1.45 | 3.70 | 6.30 | 1.04 | 1.17 | 2.33 |
| 22:00 | 107 | მაასტრიხტი-ტელსტარი | 1.70 | 3.40 | 4.30 | 1.13 | 1.21 | 1.89 |
| 22:00 | 108 | ზვოლე-აპელდორნი | 1.65 | 3.40 | 4.70 | 1.11 | 1.22 | 1.97 |
| 22:00 | 109 | ეინდჰოვენი-ვალვაიკი | 5.00 | 3.40 | 1.60 | 2.02 | 1.21 | 1.08 |
| 22:00 | 110 | როზენდალი-ვეენდამი | 2.20 | 3.20 | 2.90 | 1.30 | 1.25 | 1.52 |
| | | **ირლანდია** | | | | | | |
| | | 12 ოქტომბერი | | | | | | |
| 23:00 | 149 | ლონგფორდი-უოტერფორდი | 1.85 | 3.20 | 3.55 | 1.17 | 1.21 | 1.68 |
| 23:00 | 150 | სლიგო-სტ.პატრიკსი | 2.65 | 3.10 | 2.40 | 1.42 | 1.25 | 1.35 |
| 22:45 | 151 | დერი-დუბლინი | 1.65 | 3.40 | 4.30 | 1.11 | 1.19 | 1.89 |
| 22:45 | 152 | ბრეი-კორკი | 3.60 | 3.20 | 1.85 | 1.69 | 1.22 | 1.17 |
| 22:45 | 153 | ბოჰემიანი-გალვეი | 1.55 | 3.40 | 5.00 | 1.06 | 1.18 | 2.02 |
| 22:45 | 154 | შემროკი-დროგედა | 2.35 | 3.00 | 2.70 | 1.31 | 1.25 | 1.42 |
| | | **აშშ** | | | | | | |
| | | 11 ოქტომბერი | | | | | | |
| 23:45 | 156 | დალასი-ჩივასი | 2.40 | 3.20 | 2.60 | 1.37 | 1.24 | 1.43 |
| | | **მჩ 2010 შესარჩევი მატჩები** | | | | | | |
| | | 13 ოქტომბერი | | | | | | |
| 22:30 | 436 | ურუგვაი-ბოლივია | 1.30 | 4.20 | 8.00 | 1.00 | 1.11 | 2.75 |
| 23:45 | 437 | არგენტინა-ჩილე | 1.25 | 4.70 | 9.00 | 1.00 | 1.09 | 3.08 |
| 23:45 | 438 | ეკვადორი-ვენესუელა | 1.55 | 3.40 | 5.50 | 1.06 | 1.20 | 2.10 |
| 23:45 | 439 | პერუ-პარაგვაი | 2.20 | 3.10 | 2.85 | 1.28 | 1.24 | 1.48 |
| | | 14 ოქტომბერი | | | | | | |
| 23:45 | 440 | კოლუმბია-ბრაზილია | 3.60 | 3.20 | 1.90 | 1.69 | 1.24 | 1.19 |
| | | **ეჩ. შესარჩევი მატჩები** | | | | | | |
| | | 13 ოქტომბერი | | | | | | |
| 18:00 | 400 | შოტლანდია-უკრაინა | 2.05 | 3.20 | 3.20 | 1.24 | 1.24 | 1.60 |
| 18:00 | 401 | ხლოვაკეთი-სან მარინო | 1.02 | 10.00 | 25.00 | 1.00 | 1.00 | 7.14 |
| 18:00 | 403 | ინგლისი-ესტონეთი | 1.03 | 8.50 | 29.00 | 1.00 | 1.00 | 6.57 |
| 18:20 | 405 | უნგრეთი-მალტა | 1.18 | 5.50 | 12.00 | 1.00 | 1.07 | 3.77 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 407 | სომხეთი-სერბეთი | 8.50 | 4.30 | 1.30 | 2.85 | 1.12 | 1.00 |
| 19:00 | 409 | ფარერები-საფრანგეთი | 33.00 | 10.00 | 1.01 | 7.67 | 1.00 | 1.00 |
| 19:00 | 411 | ბელარუსი-ლუქსემბურგი | 1.08 | 7.00 | 20.00 | 1.00 | 1.02 | 5.18 |
| 20:00 | 413 | აზერბაიჯანი-პორტუგალია | 20.00 | 6.50 | 1.05 | 4.90 | 1.00 | 1.00 |
| 20:00 | 415 | ისლანდია-ლატვია | 2.05 | 3.10 | 3.30 | 1.23 | 1.26 | 1.59 |
| 20:15 | 416 | კვიპროსი-უელსი | 2.60 | 3.20 | 2.40 | 1.43 | 1.24 | 1.37 |
| 21:00 | 417 | ლიხტენშტეინი-შვედეთი | 20.00 | 6.50 | 1.07 | 4.90 | 1.01 | 1.00 |
| 21:15 | 420 | რუმინეთი-ჰოლანდია | 3.00 | 3.10 | 2.20 | 1.52 | 1.26 | 1.28 |
| 22:00 | 421 | მოლდოვა-თურქეთი | 9.50 | 4.50 | 1.25 | 3.05 | 1.10 | 1.00 |
| 22:00 | 423 | დანია-ესპანეთი | 2.70 | 3.10 | 2.35 | 1.44 | 1.25 | 1.33 |
| 22:30 | 424 | პოლონეთი-ყაზახეთი | 1.08 | 6.50 | 20.00 | 1.00 | 1.02 | 4.90 |
| 22:30 | 426 | საბერძნეთი-ბოსნია | 1.20 | 5.00 | 11.00 | 1.00 | 1.08 | 3.43 |
| 22:30 | 428 | სლოვენია-ალბანეთი | 1.45 | 3.50 | 6.50 | 1.02 | 1.18 | 2.27 |
| 22:45 | 430 | ბელგია-ფინეთი | 2.20 | 3.10 | 2.90 | 1.28 | 1.25 | 1.49 |
| 22:45 | 431 | ირლანდია-გერმანია | 4.00 | 3.20 | 1.80 | 1.77 | 1.24 | 1.15 |
| 22:15 | 465 | ხორვატია-ისრაელი | 1.35 | 3.80 | 8.00 | 1.00 | 1.15 | 2.57 |
| | | ევ. 2009 შესარჩევი მატჩები(21) 11 ოქტომბერი | | | | | | |
| 22:45 | 447 | შოტლანდია(21)-ლიტვა(21) | 1.45 | 3.60 | 5.80 | 1.03 | 1.15 | 2.22 |
| | | 12 ოქტომბერი | | | | | | |
| 16:00 | 448 | ისრაელი(21)-გერმანია(21) | 4.90 | 3.40 | 1.60 | 2.00 | 1.20 | 1.08 |
| 16:00 | 449 | პოლონეთი(21)-ესპანეთი(21) | 3.10 | 3.10 | 2.05 | 1.54 | 1.23 | 1.23 |
| 18:00 | 450 | რუსეთი(21)-ყაზახეთი(21) | 1.05 | 8.50 | 14.30 | 1.00 | 1.00 | 5.33 |
| 20:00 | 451 | ავსტრია(21)-კვიპროსი(21) | 1.45 | 3.50 | 6.00 | 1.02 | 1.16 | 2.21 |
| 19:00 | 452 | ბულგარეთი(21)-პორტუგალია(21) | 5.00 | 3.40 | 1.55 | 2.02 | 1.18 | 1.06 |
| 21:00 | 453 | ნორვეგია(21)-შვეიცარია(21) | 1.95 | 3.20 | 3.30 | 1.21 | 1.22 | 1.62 |
| 21:00 | 454 | ესტონეთი(21)-ჰოლანდია(21) | 8.00 | 4.50 | 1.25 | 2.88 | 1.08 | 1.00 |
| 22:00 | 455 | ბელგია(21)-სლოვაკეთი(21) | 1.90 | 3.20 | 3.40 | 1.19 | 1.21 | 1.64 |
| 22:30 | 456 | საფრანგეთი(21)-ბოსნია(21) | 1.22 | 5.00 | 8.50 | 1.00 | 1.06 | 3.14 |
| 22:45 | 457 | ინგლისი(21)-ჩერნოგორია(21) | 1.05 | 8.50 | 14.40 | 1.00 | 1.00 | 5.34 |
| 23:00 | 458 | იტალია(21)-ხორვატია(21) | 1.50 | 3.40 | 5.50 | 1.04 | 1.17 | 2.10 |
| | | 13 ოქტომბერი | | | | | | |
| 13:00 | 459 | ფარერები(21)-აზერბაიჯანი(21) | 3.00 | 3.20 | 2.00 | 1.54 | 1.20 | 1.23 |
| 16:00 | 460 | სერბეთი(21)-სან მარინო(21) | 1.04 | 8.50 | 20.00 | 1.00 | 1.00 | 5.96 |
| 17:30 | 461 | ლუქსემბურგი(21)-მოლდოვა(21) | 4.40 | 3.10 | 1.70 | 1.81 | 1.22 | 1.09 |
| 18:00 | 462 | ფინეთი(21)-სლოვენია(21) | 2.05 | 3.20 | 3.00 | 1.24 | 1.21 | 1.54 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 14 ოქტომბერი | | | | | | |
| 17:00 | 463 | ლიხტენშტეინი(21)-ჩეხეთი(21) | 20.00 | 8.00 | 1.04 | 5.71 | 1.00 | 1.00 |
| 18:00 | 464 | თურქეთი(21)-უკრაინა(21) | 1.80 | 3.10 | 3.70 | 1.18 | 1.21 | 1.68 |
| | | ჰოკეი. შვედეთი 11 ოქტომბერი | | | | | | |
| 21:00 | 253 | სოდერტელიე-ფერიესტადი | 2.40 | 4.10 | 1.90 | 1.51 | 1.06 | 1.29 |
| 21:00 | 254 | ლინჩიოპინგი-ჰვ 71 | 2.00 | 4.00 | 2.30 | 1.33 | 1.06 | 1.46 |
| 21:00 | 255 | ლულეო-აიკ | 1.75 | 4.20 | 2.80 | 1.23 | 1.07 | 1.67 |
| 21:00 | 256 | ბრიუნესი-იურგორდენი | 1.85 | 4.20 | 2.60 | 1.28 | 1.08 | 1.60 |
| 21:00 | 257 | ტიმრე-მორა | 1.50 | 4.40 | 3.40 | 1.11 | 1.04 | 1.91 |
| 21:00 | 258 | ფროილუნდა-მოდო | 1.70 | 4.30 | 2.90 | 1.21 | 1.07 | 1.73 |
| | | ჰოკეი. ფინეთი 11 ოქტომბერი | | | | | | |
| 19:30 | 267 | ესპოო-იოკერიტი | 2.10 | 4.10 | 2.20 | 1.38 | 1.07 | 1.43 |
| 19:30 | 268 | ჰელსინკი-პელიკანსი | 2.10 | 4.10 | 2.20 | 1.38 | 1.07 | 1.43 |
| 19:30 | 269 | ილვესი-იუვესკიულე | 1.90 | 4.10 | 2.40 | 1.29 | 1.06 | 1.51 |
| 19:30 | 270 | კალპა-პაამეენლინა | 2.80 | 4.30 | 1.70 | 1.69 | 1.05 | 1.21 |
| | | ჰოკეი. ჩეხეთი 11 ოქტომბერი | | | | | | |
| 19:00 | 288 | კლადნო-კარლოვი ვარი | 2.20 | 4.10 | 2.10 | 1.43 | 1.07 | 1.38 |
| 12 ოქტომბერი | | | | | | | | |
| 19:30 | 289 | პლზენი-სლავია | 2.20 | 4.10 | 2.10 | 1.43 | 1.07 | 1.38 |
| 20:30 | 290 | ლიბერეცი-პარდუბიცე | 1.65 | 4.40 | 3.00 | 1.20 | 1.06 | 1.78 |
| 19:00 | 291 | ვიტკოვიცე-ლიტვინოვი | 1.65 | 4.40 | 3.10 | 1.20 | 1.07 | 1.81 |
| 19:30 | 292 | უსტი-ზლინი | 2.20 | 4.10 | 2.10 | 1.43 | 1.07 | 1.38 |
| 20:00 | 293 | სპარტა-ზნოიმო | 1.40 | 4.40 | 4.40 | 1.06 | 1.06 | 2.20 |
| 19:30 | 294 | ბუდეიოვიცე-ტრჟინეცი | 1.40 | 4.40 | 4.40 | 1.06 | 1.06 | 2.20 |
| | | ჰოკეი. რუსეთი. 11 ოქტომბერი | | | | | | |
| 16:00 | 357 | სიბირი-სიმკი | 2.00 | 4.20 | 2.20 | 1.35 | 1.04 | 1.44 |
| 14:30 | 358 | ნოვოკუზნეცკი-აკ | 3.00 | 4.30 | 1.50 | 1.76 | 1.00 | 1.11 |
| 16:00 | 359 | ავანგარდი-აკ ბარსი | 1.70 | 4.40 | 2.50 | 1.22 | 1.01 | 1.59 |
| 19:00 | 360 | სპარტაკი-ნეფტეხიმიკი | 2.00 | 4.20 | 2.20 | 1.35 | 1.04 | 1.44 |
| 19:00 | 361 | დინამო-ლოკომოტივი | 1.70 | 4.30 | 2.70 | 1.21 | 1.04 | 1.65 |
| 19:00 | 362 | მედ-სევერსტალი | 1.70 | 4.40 | 2.55 | 1.22 | 1.01 | 1.61 |

ჭადრაკი

# ევროპის საკლუბო თასი

## 2-10 ოქტომბერი. ქემერი. თურქეთი

# ქართველმა ქალებმა რვიანები დახაზეს




**ესპანურმა** „ლინექს მეჯიქმა" ბოლო ტურში სარატოვის „ეკონომისტს" მოუგო 4:2 და 13 ქულით ევროპის ჩემპიონიც გახდა. ესპანელებმა მეორეადგილოსან „ურალს" ერთი ქულით გაუსწრეს და პირადულში 28,5 დააგროვეს. ესპანური გუნდის „ლინექს-მაგიკის" ღირსებას იცავდნენ: ამერიკელი გატა კამსკი, ინგლისელი მაიკლ ადამსი, რუსი სერგეი რუბლევსკი, სომეხი გაბრიელ სარგსიანი, ბულგარელი ივან ჩეპარინოვი და ორი ესპანელი მანუელ პერეზ კანდელარიო და ივან კაბეზას აიალა.

პირადული ქულებით საუკეთესო ბაადურ ჯობავას „ჩეს კლუბ ზაგრები" იყო. ხორვატებმა 32,5 ქულა დააგროვეს, თუმც ურთიერთშეხვედრებში მხოლოდ 10 მოიგეს და საბოლოოდ მეხუთე ადგილს დასჯერდნენ. ქართველმა დიდოსტატმა ჩემპიონატი მეორე დაფაზე ჩაატარა და გუნდს 5 ქულა შესძინა.

ქალებში ყველას მონტე კარლოს გუნდმა აჯობა. მონაკოელებმა რუსული „ავსის" მსგავსად 11 ქულა დააგროვეს, თუმც პირადულ შეხვედრებში 20 აიღეს და ჩვენს ჩრდილომეზობლებს ქულით აჯობეს. მონტე კარლოს გუნდში ასპარეზობდნენ: ინდოელთა ამომავალი ვარსკვლავი ჰამპი კონერუ, შვედთა ლეგენდარული მოჭადრაკე პია კრამლინგი, ყატარელი ჩენ ჩჟუ, პოლონელი მონიკა სოჩკო და ფრანგი ალმირა სკრიპჩენკო.

ქართულმა „ინტერპლასტმა" ცუდად ჩაამთავრა ჩემპიონატი. ჩვენი გოგონები რვა ქულით მერვე ადგილს დასჯერდნენ, არადა, ჩემპიონობაც შეეძლოთ.

ბოლო ტურში „ინტერპლასტი" სომხურ „მიკათან" 1:3 დამარცხდა. პირველ დაფაზე ლელა ჯავახიშვილმა თეთრებით მაია ჩიბურდანიძეს გაუყო ქულა. მეორეზე ქეთევან არახამია-გრანტი შავებით ელენა დანიელიანთან დამარცხდა, ხოლო მესამეზე სოფიო გვეტაძე თეთრებით — ნინო ხურციძესთან. ყაიმით დასრულდა მაია ლომინეიშვილისა და ლილიტ მკრტჩიანის შეხვედრა. ჩვენებური შავი ფიგურებით გამოვიდა და თამაში 27-ე სვლაზე დაასრულა.

**ლაშა გეგეჭკორი**

**კაცები**

1. ლინექს-მაგიკ (ესპანეთი) - 13 (28,5)
2. ურალი (რუსეთი) ——— 12 (31)
3. ტომსკ -400 (რუსეთი) ——— 11 (29)
4. JWC ბადენ-ბადენი (გერმანია) 11 (28,5)
5. კლუბ ზაგრები (ხორვატია) 10 (31,5)

**ქალები**

1. მონტე-კარლო (მონაკო) ——— 11 (20)
2. ავს კრასნოიარსკი (რუსეთი) ——— 10 (19)
3. მიკა (სომხეთი) ——— 10 (18)
4. სევერნი ურალ ——— 10 (18)
5. ფინეს (რუსეთი) ——— 10 (18)

ავტორბოლა




# პირველი ფორმულის მეორე ნაკაჯიმა

**წლევანდელი** საპირველფორმულო ჩემპიონატი პრაქტიკულად გასრულდა და ამდენად, საგაისოდ გუნდებში წასვლა-მოსვლის თაობაზე თითქმის ყოველდღიურად ახალ-ახალი ცნობები ჩნდება.

33 წლის ავსტრიელი ალექსანდრ ვურცის „უილიამს-ტოიოტადან" წასვლაზე გუშინ გაუწყეთ. მას სერ ფრენკ უილიამსის საჯინიბოსთან კონტრაქტი ათი დღის შემდეგ კი ეწურებოდა, მაგრამ ბრაზილიაში რბოლას აღარ დაელოდა და ვადამდე გადადგა.

ეტყობა, გუნდში ამ ნაბიჯთან დაკავშირებით საქმის კურსში იყვნენ, რადგან ერთი კვირის წინ ჩინეთის გრან პრიმდე ოფიციალურ ვარჯიშზე ვურცის ნაცვლად საჯინიბოს ტესტ-მძღოლი, 22 წლის იაპონელი პილოტი კაზუკი ნაკაჯიმა გამოსცადეს.

გუშინ კი უკვე ოფიციალურად გაცხადდა, რომ 21 ოქტომბერს სან პაულუში ბრაზილიის დიდი პრიზისთვის „უილიამსის" ბოლიდით სწორედ კაზუკი ირბოლებს. იგი ცნობილი იაპონელი მეფორმულის, სატორუ ნაკაჯიმას შვილია. სატორუმ „სამეფო რბოლებში" გასული საუკუნის 80-იან წლებში ხუთი სეზონი გაატარა, თუმც უხეიროდ — „ლოტუს ჰონდით" 74 ეტაპზე გაიჯირითა და ერთხელაც ვერ მოიპოვა საპრიზო ადგილი, მხოლოდ და მხოლოდ 16 ქულით დაასრულა კარიერა.

კაზუკი წლეულს „მომავლის ფორმულის" — გრან პრი 2-ის ჩემპიონატში გამოდიოდა და მართალია, საბოლოოდ გენერალურ კლასიფიკაციაში მხოლოდ მეხუთე ადგილი დაიკავა, მაგრამ სეზონის აღმოჩენად აღიარეს და ჩინებული მომავალიც უწინასწარმეტყველეს.

ერთი სიტყვით, სწორედ ის შემთხვევაა, როცა უდიდესი იმედია, რომ შვილი მამას აჯობებს.

**გია ახალაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# RUGBY WORLD CUP 2007

საფრანგეთი. 7 სექტემბერი — 20 ოქტომბერი

# ძველი დაიხურა, წინ ახალი თავგადასავლებია

**მსოფლიოს თასი გრძელდება, თუმც ჩვენთვის ის ჯგუფურ ეტაპზევე დასრულდა. გუშინ კი საქათრველოს რაგბის კავშირმა ცოტა დაგვიანებული, მაგრამ მაინც საინტერესო პრესკონფერენცია გამართა, რომელსაც კავშირის უფროსობის გარდა საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი მალხაზ ჭეიშვილი და სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ნამგალაურიც დაესწრნენ.**






ბაჩუკი კოპალიანის ფოტოები

კოკა ლაზიშვილი, მერაბ ანთაძე და მალხაზ ჭეიშვილი

***მერაბ ანთაძე, საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი:*** დიდი მადლობა ჩვენი ნაკრების წევრებს, მწვრთნელებს, მათ ძალიან დიდი სამუშაო გასწიეს. რა თქმა უნდა, რაგბის კავშირმაც სერიოზული წვლილი შეიტანა ნაკრების მომზადებაში, რაც, მერწმუნეთ, დიდიხნის მუშაობის შედეგია. გარდა იმისა, რომ ჩვენმა ბიჭებმა შესანიშნავად ითამაშეს და ისტორიული გამარჯვებაც მოიპოვეს, მათ საუკეთესო კუთხით წარმოაჩინეს ჩვენი ქვეყანა. წარმოიდგინეთ, ოფიციალური მონაცემებით, ოთხი მილიარდი მაყურებელი ჰყავს მსოფლიოს თასს და ამასთან ერთად , ჩვენი ნაკრების თემა კვლავ აქტუალურია ჯერ კიდევ დაუსრულებელ ტურნირზე.

***დავით ნამგალაური:*** საქართველოს ნაკრების თამაშებს მეც დავესწარი და სიტყვებით ვერ გადმოგცემთ იმ ემოციებს, რაც მაშინ დაგვეუფლა. ბიჭები ისე ემზადებოდნენ ყოველი მატჩის წინ, თითქოს ეს მათთვის ბოლო ბრძოლა ყოფილიყო. ნანახმა თითქოს საუკუნეების უკან დამაბრუნა, როცა ქართული ლაშქარი მტრის დასახვედრად ემზადებოდა. ჩვენ, სპორტის დეპატრამენტი და მთავრობა ყველანაირად გვერდით დავუდგებით მორაგბეებს. საქართველოს პრეზიდენტმაც გააზმოვანა სახელმწიფოს მიერ რაგბიში ინვესტიციების ჩადებაზე და მერწმუნეთ, ეს ინვესტიციები ძალიან სოლიდური იქნება. ახლა რაგბის კავშირთან ერთად მთავრობაში პროექტების შეთანხმება ხდება. განხორციელებულ პირველ ნაბიჯებს კი მომავალი წლის იანვრიდან დაინახავთ. ერთიც აუცილებლად უნდა ალვნიშნო. ჩვენ ყოველთვის ყურადღებას ვაქცევდით ქართულ რაგბის, მაგრამ ახლა გაცილებით მასშტაბურ პროექტებს განვახორციელებთ, რაც მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი რაგბის კავშირის დამსახურებაა.

***მალხაზ ჭეიშვილი:*** მსოფლიოს თასზე ჩვენს თამაშზე ვრცლად უკვე ბევრჯერ ვისაუბრე და ახლა მოკლედ ვიტყვი. პირადადაც ვუთხარი და ახლა საქვეყნოდ ვიტყვი, რომ ბიჭებმა, რასაც ჰქვია, თავი დადეს და ამისთვის მათ მადლობაზე მეტი ეკუთვნით. გარდა ამისა, გამოვყოფთ ჩვენი ფრანგი მეგობრების, ნაკრების კონსულტანტის ანრი ბრონკანის და ფიზმომზადების მწვრთნელის ნიკოლაი ფულკიეს მუხლჩაუხრელ მუშაობას. გარდა იმისა, რომ ბრონკანი და ფულკაე თავიანთი საქმის ნამდვილი პროფესიონალები არიან, თან საოცრად კარგი და მეგობრული პიროვნებებიც ყოფილან. დავამატებ იმას, რომ მსოფლიოს თასით ქართული რაგბის ისტორიის ერთი ფურცელი უკვე დაიწერა და ახლა თავიდან უნდა დაიწყოს ახალი ფურცლის წერა. ჩვენ უკვე ვემზადებით 10 ნოემბერს პორტუგალიასთან გასამართ ერთა თასის მატჩისთვის. გუნდში ცვლილებები იქნება, რადგან რამდენიმე მორაგბე სანაკრებო კარიერის დასრულებას აპირებს, ზოგს კი ფრანგულ კლუბებში შეექმნება პრობლემა.

***მერაბ ანთაძე:*** საქმე ისაა, რომ რაგბის საერთაშორისო საბჭომ ახლახან მიღო გადაწყვეტილება, რომელიც კლუბებს გარკვეულ პრიორიტეტებს ანიჭებს. ახლა კლუბს აქვს უფლება, საერთაშორისო საბჭოს მიერ დადგენილი „ფანჯრისას“ ნაკრებში მიწვეული ლეგიონერი არ გაუშვას. ეს ჩვენთვის პრობლემა არ იქნებოდა, რომ არა ერთი მნიშვნელოვანი გარემოება. საერთაშორისო საბჭომ ეს დადგენილება ახლახან მიიღო, როდესაც ჩვენი ნაკრების განრიგი უკვე შედგენილი იყო. ჩვენი რამდენიმე მატჩი ვერ ჯდება ამ საერთაშორისო საბჭოს მიერ დადგენილ „ფანჯარაში“ და პრობლემებიც აქ შეგვექმნება. ყველაზე მეტი პრობლემები კი გაისად რუსეთთან გასამართი მატჩია, როცა ფრანგულ კლუბებს ექნებათ უფლება, ჩვენი მოთამაშეები არ გაათავისუფლონ, თუმც ამ მხრივაც მიდის აქტიური მუშაობა და იმედია, კომპრომისს მივაღწევთ.

***კოკა ლაზიშვილი, საქართველოს რაგბის კავშირის ვიცე-პრეზიდენტი:*** მსოფლიოს თასის ფინალის წინა დღეს საფრანგეთში საერთაშორისო საბჭოს კონგრესი გაიმართება და მეც დავესწრები. სწორედ აქ უნდა გადაწყდეს, შემცირდება თუ არა მომავალ მსოფლიოს თასზე გუნდების რაოდენობა. რაც მე საფრანგეთში ვნახე, საერთაშორისო საბჭოს ირლანდიელი თავმჯდომარე სიდ მილარი არ არის ამის მომხრე, მაგრამ მასპინძელი ახალი ზელანდია მაინც თავის აზრზეა. როგორც ჩანს, ახალ ზელანდიას ოცგუნდა ტურნირის მასპინძლობის თავი არ აქვს და არც ავსტრალიას უთმობს რამდენიმე მატჩს.

***მერაბ ანთაძე:*** ბოლოს მინდა, ყველას მადლობა გადავიხადოთ იმ დიდი თანადგომისთვის, რაც მსოფლიოს თასზე საქართველოს ნაკრებისთვის გააკეთეთ. მადლობა სპონსორებს, შპს „კვარციტს“, „BTA სილქ როუდ ბანკს“, „ლიიალ კეპიტალ გრუპს“, „ნემიროვს“, „ტიფლის მარანს“ და „ძმებ ასკანელებს“, რომლებმაც ქართული დელეგაცია საუკეთესო ქართული ღვინით მოამარაგეს.

**ბაჩო სვანიძე**

# მამლები ვარდებისთვის



ბერნარდ ლაპორტი

**საფრანგეთის** ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ბერნარდ ლაპორტმა „ვარდებთან“ ნახევარფინალში სათამაშო ოცდაორეული დაასახელა. „ოლ ბლექსთან“ გადატანილი მძიმე ბრძოლის შემდეგ რამდენიმე ფრანგი მორაგბე ექიმების ხელში აღმოჩნდა. სერჟ ბეცენმა და ოლივიე მილლუდმა ტრავმები მოიშუშეს.

ბეცენს მაორებთან ჯახში მეხუთე წუთზე თავში მუხლი მოხვდა და მის გრძნობაზე მოყვანას ექიმთა ბრიგადა და სამიოდე წუთი დასჭირდა, რის შემდეგაც დაზარალებულმა გაბრუებულმა და შეცბუნებულმა დატოვა მოედანი. მილლუდმა კი მეორე ტაიმში კისერში დარტყმა მიიღო და ვეღარც მან განაგრძო თამაში.

უმნიშვნელოდ დაშავდნენ დემიან ტრაი, ვენსან კლერკი, ვენიკ ჟოზიონი, სედრიკ ჰეიმანსი, ჟან-ბაპტისტ ელისალდე, ჟულიან ბონერი, ტიერი დუსაიტო, ჟერომ ტაიონი, მაგრამ ინგლისთან სათამაშო ძირითადი შემადგენლობის დასახელებამდე ყველა მათგანმა ვარჯიში განაახლა.

ფრედერიკ მიშელაკი, რომელიც „შავებთან“ ჯახში შეცვლაზე შევიდა და გადამწყვეტი სალელოვე პასი გააკეთა, ისევ სათადარიგოთა შორის აღმოჩნდა. „ახალ ზელანდიასთან ყველა ჩემმა მორაგბემ დამაკმაყოფილებელი შედეგი აჩვენა და ჩემთვის ძალიან ძნელია ვინმეს შემადგენლობიდან ამოგდება“ — თქვა ლაპორტმა.

*საფრანგეთი: ტრაი, კლერკი, მარტი, ჟოზიონი, ემონსი; ბოგზი, ელისალდე; ბონარი, დუსატუარი, ბესენი, ტიონი, პელუ, დე ვილიერსი, იბანესი (კაპ), მილუ.*

*სათადარიგოები: შარზევსკი, პოი, შაბალი, არინორდოკი, მიშალაკი, პოიტრინუ, დომინისი.*

**ზურაბ მიგრიაული**



# კარტერმა ევროპა იუარა

**ახალზელანდიელთა** ათი ნომერი დენ კარტერი ევროპაში კარიერის გაგრძელებას აღარ აპირებს. მისმა მრავალმა თანაგუნდელმა გადაწყვიტა, მსოფლიოს თასის შემდეგ კარიერა ბებერ კონტინენტზე გააგრძელოს. კარტერსაც გული მათთან მიუწევდა, მაგრამ საქმე ისაა, რომ მაორთა რაგბის კავშირის წესების თანახმად, ლეგიონერებს ნაკრებში არ იწვევენ. დენ კარტერს კი 2011 წელს ახალ ზელანდიაში ჩასატარებელ მსოფლიოს თასზე რაგბობა სწყურია.

„მე მხოლოდ 25 წლის ვარ და ჩემი სარაგბო კარიერის რამდენიმე წელი ჯერ კიდევ წინ არის. მინდა, ყველაფერი კარგად გავაანალიზო და გადაწყვეტილება ისე მივიღო. ჩემი თანაგუნდელების ნაკრებთან გამოთხოვება რთული სანახავია, მაგრამ მე შევეცდები მათ მდგომარეობაში. ალბათ კარიერას ისევ სამშობლოში გავაგრძელებ, რადგან ნაკრების მაისურა ჩემთვის ყველაფერზე ძვირფასია“ — ამბობს კარტერი.

ევროპაში გადაბარგებულთა სია კი საკმაოდ შთამბეჭდავია: დაგ .ჰაულეტი, ლუკ მაკკალისტერი, აარონ მაუგერი, ბაირონ კელეჰერი, კრის ჯეკი, კარლ ჰეიმანი და ენტონ ოლივერი. სხვა გამოცდილ ოლბლექსელებს, კიტ რობინსონს და რუბენ სორნის კი ეროვნულში თამაში ძველებურად სწადიათ და სწამთ, რომ მიუხედავად დიდი კონკურენციისა, ამას შეძლებენ.

**ზურაბ მიგრიაული**



# რეტიანი ჰაულეტი

**ლონდონში** ახალზელანდიელთა გარემარბი და საუკეთესო მელელოვე დაგ ჰაულეტი დააპატიმრეს. როცა საფრანგეთთან დამარცხებული მაორები სახლებში უნდა გაფრენილიყვნენ, რომელიღაც რეპორტიორმა „ოლ ბლექსელთა“ სასტუმროს წინ გაჩერებულ ორ მანქანაზე მოხტუნავე ერთ-ერთი მუქკანიანი მორაგბე შენიშნა.

საქმე ოპერატიულად შესაბამის ინსტანციებს გადაეცა და ლონდონში ჩაფრენილი დაგ ჰაულეტი პოლიციელელთა ხელში აღმოჩნდა. მაგრამ პატიმარი ირწმუნება, რომ ინციდენტის დროს მე ჩემს შვილებთან ერთად ჯერ კიდევ სასტუმროს ნომერში ვიყავიო. ჰაულეტის სასარგებლოდ ის ფაქტორიც ლაპარაკობს, რომ იგი, თანაგუნდელებისგან განსხვავებით, სხვა რეისით გაფრინდა ლონდონში, რათა თავის ახალ გუნდს „მიუნსტერს“ შეერთებოდა.

ჯერჯერობთ დამნაშავის ვინაობა არ გარკვეულა, მაგრამ ახალზელანდიელთა მენეჯერი დარენ შანდი ამბობს, რომ გინდაც პოლიციელები ვერ გაერკვნენ სიტუაციაში, ჩვენ შიდა გამოძიებას მაინც ჩავატარებთო.

შავების დამრიგებელი გრემ ჰენრი კი შეგირდებს მხარში დაუდგა და რამდენიმე საქებარი სიტყვაც შეაწია. „მე მეამაყება მათი, როგორც ადამიანების, ისინი მთელი ქვეყნის მისაბაძები არიან“ — თქვა ჰენრიმ.

**ზურაბ მიზრიაული**

# ლაპორტს ჯადო ჯონი აფიქრებს



„მთავარია, მოვახერხოთ ჯონი უილკინსონის გამოთიშვა თამაშიდან და ნახევარი საქმე გაკეთებული იქნება“ — ამბობს ფრანგთა მწვრთნელი ბერნარდ ლაპორტი. „ჯგუფურ ეტაპზე აშშ-ს ინგლსელებმა ძლივძლივობით მოუგეს, განადგურდნენ სამხრეთ აფრიკასთან, მაგრამ დაბრუნდა უილკინსონი და მოიგეს ტონგასთან, ასევე სამოასთანაც და, რაც მთავარია, მეოთხედფინალში დაამარცხეს ავსტრალია. აღსანიშნავია ისიც, რომ მათ ჩვენამდე მოსვლა საკმაოდ რთული გზებით მოახერხეს და საკუთარი ძალების ირწმუნეს, მაგრამ ვიმეორებ — უილკინსონი ჩვენი მთავარი თავის ტკივილი იქნება“.

**ზურაბ მიზრიაული**



# აზოტმა ვინჩესტერი მოიმარჯვა
## რუსთავში ამერიკელებს ელიან

გასული წლის ჩემპიონმა რუსთავის „აზოტმა“ ახალი სეზონი რიხით დაიწყო. მართალია, დუდუ დადიანის მემორიალური ტურნირის პირველი მატჩი „მაკაბისთან“ დათმო, მაგრამ მერე იყოჩაღა და თასსაც დაეპატრონა. რუსთაველებმა გასული სეზონის შემადგენლობიდან არაერთი მოთამაშე გაუშვეს, მაგრამ შევსებაც მძლავრი მიიღეს — სერბი იოვან სტეფანოვი დადიანის მემორიალის ფინალური მატჩის საუკეთესო მოთამაშე და ბომბარდირი გახდა. ქვემოქართლელები ამაზე არ ჩერდებიან და ლეგიონერებით გაძლიერებას კვლავაც ეშურებიან. რუსთაველთა შემადგენლობა საქართველოს ჩემპიონატის კვალობაზე ეგებ სულაც არ იყოს არავისზე ნაკლები, მაგრამ „აზოტს“ ამ თვის ბოლოს ევროთასზე უწევს თამაში და ამიტომაც სურს ლეგიონერებით გაძლიერება. სავარაუდოდ, უახლოეს დღეებში რუსთავში ორი ახალი მოთამაშე ჩამოვა გასინჯვაზე — ამერიკის სტუდენტურ ლიგაში მოთამაშე ბოლტონ რივერსი და ჯონ ვინჩესტერი. ეს ამბავი გუშინ რუსთავში, „აზოტის“ ვარჯიშზე შევიტყვეთ საკალათბურთო აგენტ ლევან მიქელაძისგან, რომლის ჩამოყვანილიცაა იოვან სტეფანოვი. მანამდე კი რუსთაველთა თავკაც დავით უსტიაშვილს გავესაუბრეთ



**— როგორ შეაფასებთ „აზოტის“ გამოსვლას დადიანის მემორიალზე?**

— მოგეხსენებათ, ჩვენთან დიდი ცვლილებები მოხდა და, ფაქტობრივად, ახალი გუნდი გვყავს. ასეთ ვითარებაში ყოველთვის ჭირს სადებიუტო მატჩის თამაში და ჩვენც წავიფორხილეთ. „მაკაბისთან“ თამაშის წინ ის პრობლემაც შეგვექმნა, რომ ჟოლივეტ ტუჯანი გამოგვაკლდა. დავრჩით ზვიად ბაბიაშვილის იმედად, რომელიც ერთადერთი ფარის მოთამაშეა. მატჩამდე 3 საათით ადრე ჩამოვიდა იოვან სტეფანოვი, რომელიც საერთოდ არ იყო ჩვენს მოთამაშეებთან ნავარჯიშები და არც ვაპირებდი მის მოედანზე გაყვანას, მაგრამ სხვა გზა არ დამრჩა. როგორც მოსალოდნელი იყო, თამაში ვერ ავაწყვეთ, შორი სროლებიც გაგვიცუდდა და „მაკაბისთან“ დავმარცხდით. მხოლოდ ამ თამაშით ვარ უკმაყოფილო, თორემ ჩემს გუნდზე აუგს ვერ ვიტყვი.

**— შედეგით კმაყოფილი იქნებით, ტურნირი მოიგეთ. თამაშის ხარისხზე რას იტყვით?**

— „მაკაბისთან“ მატჩით ვერ ვიქნები კმაყოფილი, ხოლო ფინალი უმაღლეს დონეზე ვითამაშეთ. თავიდან ცოტა გაგვიჭირდა, თუმცა მეორე მეოთხედიდან ყველაფერი გამოვასწორეთ — დაცვაში, სწრაფ შეტევაში, გუნდურ თამაშში მეტოქეს იოლად ვაჯობეთ და დამსახურებულად გავიმარჯვეთ.

**— დადიანის ტურნირის მოგება რამდენად მნიშვნელოვანი იყო თქვენთვის?**

— ამ ტურნირმა უკვე საკმაოდ დიდი პრესტიჟი შეიძინა ქართულ კალათბურთში და მისი მოგება, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია. თუმცა იმასაც დავამატებ, რომ ნებისმიერ ტურნირში ჩვენი მთავარი მიზანი თამაშის სრულყოფა და ხარისხის გაუმჯობესებაა. ამ მხრივაც გამოიჩინა „აზოტმა“ თავი. თამაშიდან თამაშამდე ვუმატებდით ტემპს, ხარისხს და ტურნირი ბრწყინვალე გამარჯვებით დავაგვირგვინეთ.

**— რას იტყვით „აზოტის“ ახალწვეულ იოვან სტეფანოვზე?**

— ის რუსთავში გასინჯვაზე ჩამოვიდა და ტურნირის დასრულებისთანავე გადავწყვიტეთ, რომ ჩვენთან დარჩებოდა. ანუ ჩვენ კმაყოფილები ვართ. მას ბევრი პლუსი აქვს. სიმაღლის კვალობაზე ძალიან მოძრავია, კარგად აზროვნებს და ესვრის. თან იოვანი საკმაოდ ახალგაზრდა და მონდომებულია. მჯერა, რომ ის „აზოტს“ დიდ დახმარებას გაუწევს. მან ეს უკვე მოასწრო კიდეც — დუდუ დადიანის მემორიალის ფინალში ბომბარდირი და მატჩის საუკეთესო მოთამაშე გახდა.

**— სტეფანოვს ფარქვეშ თამაშიც შეუძლია, მაგრამ დამეთანხმებით, რომ „აზოტს“ მაინც სჭირდება ტანმაღალი მოთამაშე...**

— აუცილებლად გვჭირდება ცენტრი და ერთი უკანახაზელიც. ჯერ ვერ ვიტყვი გადაჭრით, რომ აუცილებლად შევიმატებთ-მეთქი, მაგრამ თუკი კარგი ვარიანტი გამოჩნდება, შანსს ხელიდან არ გავუშვებთ.

**— რა თქმა უნდა, უცხოელების ვარიანტზე ამბობთ...**

— დიახ, ლეგიონერებზე. ის მენეჯერი, რომელმაც სტეფანოვი ჩამოიყვანა, საქმის კურსშია და იმედი გვაქვს, არანაკლებად კარგ მოთამაშეებს მოგვიძებნის.

**— ევროთასზე ამ შემადგენლობით გახვალთ, თუ როგორც ადრე თქვით, ქართული კლუბებიდან დაიმატებთ მოთამაშეებს?**

— საქართველოს ჩემპიონატი ევროთასამდე იწყება და ამიტომ, სხვა კლუბებიდან მოთამაშეების დამატების უფლება აღარ გვექნება. ევროპაზე ამ გუნდით გავალთ და თუკი სხვა ლეგიონერებსაც დავიმატებთ, მით უფრო უკეთესი.

**— რას იტყვით თქვენს საევროთასო მეტოქეზე?**

— „ასტრონავტსი“ ჰოლანდიის ყველაზე მდიდარი გუნდია. მას ჰყავს 5 ლეგიონერი — 4 ამერიკელი და 1 ებრაელი მოთამაშე. ჰოლანდიის ჩემპიონატი არაა დაბალი დონის და ჩვენი მეტოქეც ერთ-ერთი მოწინავეა თავის ქვეყანაში. ყველანაირად ვეცდებით, რომ ღირსეულად ვეთამაშოთ „ასტრონავტსს“ და შემდეგ ეტაპზე გავიდეთ.

**— დაბოლოს, რა მიზნები გაქვთ დამდეგ ჩემპიონატში?**

— მინდა ვთქვა, რომ ეს ჩემპიონატი უწინდელზე დაძაბული და საინტერესო იქნება. „მაკაბი“ საკმაოდ მომძლავრდა, თსუ-საც ძლიერი შემადგენლობა ჰყავს. ჩემპიონობისთვის კი ჩვენთან ერთად „ავიამშენი“ და „ვითა“ იბრძოლებენ. ახლა გაცილებით ბევრი დაძაბული მატჩი იქნება.

უსტიაშვილთან საუბარს რომ მოვრჩით, **ლევან მელქაძეს** გამოველაპარაკეთ, რომელმაც „აზოტში“ ლეგიონერთა მორიგი დესანტი უნდა გადმოსხას...

**— ვის ჩამოყვანას აპირებთ ამჯერად? ვინ უნდა შესთავაზოთ რუსთაველებს?**

— არის რამდენიმე საინტერესო ვარიანტი, მაგრამ არ ვიცი, რა როგორ იქნება. „აზოტის“ ხელმძღვანელობა საბოლოო პასუხს ხვალ იტყვის. მწვრთნელმა უკვე ნახა სავარაუდო კანდიდატის, ამერიკელი ბოლტონ რივერსის თამაშის ვიდეოფირი და დაინტერესდა კიდეც. რივერსი სტუდენტური ლიგის უმაღლეს დივიზიონში, კანზასის უნივერსიტეტის გუნდში თამაშობს. ის გამთამაშებელია და გასულ სეზონში საშუალოდ 17 ქულას აგროვებდა. მეორე კანდიდატი ცენტრია — ჯონ ვინჩესტერი. მისი თამაშის ფირს დღეს ნახავენ „აზოტის“ მწვრთნელები. წინასწარ ვერაფერს ვიტყვი, რუსთაველები პასუხს დღე-დღეზე იტყვიან.

**ირაკლი ბერტაია**


სარბიელი
სამუშაოდ იწვევს
გაზეთში ნამუშევარ დამკაბადონებელს
მიღება მოხდება შერჩევით
მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის“ რედაქციაში,
ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42ა, II კორპუსი, IV სართული, 15-დან 18 საათამდე.
ცნობებისთვის დარეკეთ 39-48-29, 38-11-14, 93-16-08

# ქართული ქუდით ცაში და მიწაზე

## ბოლნისურის მადლი და ღვინით ბედნიერი კუბიჩეკი



სერგეი გრიშინი




ალეშ კუბიჩეკი

გურამ წიბახაშვილის ფოტოები

**ერთი** შეხედვით იქნებ უცნაურია, მაგრამ სპორტსმენთაგან ყველაზე მეტი საერთო აფრონსნებს, მთამსვლელებსა და საჰაერო ბურთით აერონაოსნებს აქვთ. სამივე ამ სახეობის წარმომადგენლები დიდი თავგადასავლების მოყვარული ხალხია, ერთი და იმავე თოკს იყენებენ, მისგან ერთნაირ ნასკვებსა თუ მარყუჟებს აკეთებენ. ამასთან, ამ სახეობებით გატაცებას ხალხი იმ ასაკში იწყებს, როცა სპორტის სხვა სახეობების წარმომადგენლები ვეტერანები ხდებიან და სარბიელს ეთხოვებიან. აფრონსნები, მთამსვლელები და საჰაერო ბურთით აერონაოსნები განათლებითა და ინტელექტუალობითაც გამოირჩევიან. ამიტომაც ისინი მეტად საინტერესო ხალხია და ერთმანეთთან უდიდესი პატივისცემაც აკავშირებთ. მათ სხვათა პატივისცემაც იციან და სადაც უნდა ჩავიდნენ, იქაურ ქუდსაც იხურავენ. ყოველივე ამაში ამ დღეებში კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, როცა მცხეთაში საჰაერო ბურთებით ფრენაში საქართველოს მეორე ღია ჩემპიონატი ჩატარდა. მასპინძლებთან ერთად მისმა ბრიტანელმა, რუსმა, უკრაინელმა და ჩეხმა მონაწილეებმა გადატანითი, ზოგმაც პირდაპირი მნიშვნელობითაც ქართული ქუდი დაიხურა. მოსკოველმა სერგეი გრიშინმა კი საამისოდ დიდი ბრძოლა გადაიხადა და ჯილდოდ კუპრივით შავი ფაფახი თავის ნაბდიანად მიიღო. ოღონდ ეს უკვე თბილისში, შარდენის ქუჩაზე მოხდა, სადაც გამარჯვებულთა საზეიმო დაჯილდოება გაიმართა.

„გულახდილად რომ გითხრათ, მე აქ გამარჯვებისა და რაიმე ჯილდოს მოსაპოვებლად არ ჩამოვსულვარ — გვეუბნება სერგეი გრიშინი — საქართველოში საჰაერო ბურთებით ფრენა პირველ ნაბიჯებს დგამს და მინდოდა, ამ საქმეში ჩემი მოკრძალებული წვლილი შემეტანა. ვიფიქრე, შეჯიბრებაში რაც მეტი ბურთი აიჭრება ცაში, ეს ჩვენი საქმის პოპულარობას ხელს შეუწყობს-მეთქი, მაგრამ ამ თამაშ-თამაშით, ბურთებით ფრენის პირველი ქართველი აერონაოსნის, ვლადიმერ გარაყანიძის სახელობის პრიზი მოვიგე.

სხვათა შორის, მოსკოვში მეც ერთ-ერთი პირველი ვიყავი, ვინც ბურთებით ფრენა დაიწყო.

ისე რომ, იცოდეთ, მე ჩემს თავს სანახევროდ ქართველად ვთვლი. ჩემი მშობლები ბოლნისიდან იყვნენ, მერე სოხუმში გადავიდნენ საცხოვრებლად, ბოლოს კი რუსეთს მიაშურეს. ძალიან მიხარია, რომ პოლიტიკოსებისგან განსხვავებით ჩვენ, რიგითი რუსები და ქართველები, ერთმანეთთან ურთიერთობაში წყალს არ ვამღვრევთ და მეგობრულ კავშირებს ვუფრთხილდებით. მცხეთაში ერთ-ერთი გაფრენის მერე მინდორში რომ დავეშვით, ერთი ადგილობრივი კაცი მოგვიახლოვდა და, გზას ხომ ვერ მიგვასწავლით-მეთქი, რომ ვკითხე, რატომაც არა, გამომყევითო. გავყევით და შინ მიგვიპატიჟა. მოიკლა თავი, ვიდრე არ შევედით. ახლა სანამ ჭიქებს არ მივუჭახუნებთ, გზას არ გასწავლითო. ერთი სიტყვით, ლაზათიანად გვიმასპინძლა და ერთი კარგად გამოგვათრო.

რაც შეეხება ჩემს პრიზს, თუ რამეს მოგება იყო, სწორედ გარაყანიძის სახელობის პრიზის გათამაშებაში მინდოდა გამარჯვება. ვიფიქრე, ეს თბილი ნაბად-ფაფახი მომიხდება და იქნებ ოდესმე მასში ჩათბუნებაც მომიწიოს-მეთქი".

სერგეი გრიშინმა ნაბად-ფაფახის თაობაზე საუბარი ბოლოს ამგვარი ხუმრობით შემთხვევით სულაც არ დაასრულა და პრიზად არც ეს ჩვენი ეროვნული სამოსი დაუწესებიათ ალალ-ბედზე. მაშინ, გასული საუკუნის ოციან წლებში, ვლადიმერ გარაყანიძე რუსეთის ცაში რომ აიჭრა, 720-კილომეტრიანი ფრენის შემდეგ დედამიწაზე მთლად გათოშილ-გაყინული დაეშვა და იმ მსოფლიოს რეკორდს ლამის შეეწირა კაცი. ჰოდა, საქართველოს საჰაერო ბურთებით ფრენის ფედერაციის პრეზიდენტ რევაზ უთურგაულსაც, როცა გარაყანიძის სახელობის პრიზის დაწესებაზე ფიქრობდა, ბევრი არ უჭოჭმანია და არჩევანი სწორედ ნაბად-ფაფახზე შეაჩერა.

ამ ნაბად-ფაფახთან ერთად შეჯიბრების მონაწილეთა შორის ყველაზე დიდ მხიარულებას იწვევს ქართველ მეღვინეთა პრიზი — საფერავით სავსე ასლიტრიანი კასრი.

სხვათა შორის, ღვინო, შამპანური და ბურთებით ჰაერნაოსნობა დედამიწაზე პირველი გაფრენისთანავე დაუკავშირდნენ ერთმანეთს. მაშინ, 1783 წელს, პარიზის ცაში ჟოზეფ და ეტიენ მონგოლფიეები რომ აიჭრნენ და ეს ამბავი საქართველოში მეფე ერეკლეს აცნობეს, ისიც მოახსენეს, ამ ისტორიული დღის აღსანიშნავად ძმებმა თან რამდენიმე ბოთლი ღვინოც წაიღესო.

ამიტომაც უღვინოდ არც ეს ქართული ფრენა დასრულებულა და შარდენზე შეკრებილმა საზოგადოებამ იმ ასლიტრიანი „ავზის" მომგებ ჩეხ ალეშ კუბიჩეკს „თელიანი ველის" თეთრი თუ წითელი დალოცვილი სითხით სავსე ბოკლები კასრზე მიუჭახუნეს, ჩვენში კარგად ცნობილი ჩეხი მელუდე კაცის მოგვარე კი სიხარულით ცაში დაფრინავდა, მიწაზე ბანცალებდა და ამბობდა, ამ კასრის გამოცლაში თუ არ დამეხმარებით, შინ რა წამაღებინებსო.

შარდენზე სანახევროდ ზეზეულა სუფრა ძალზე გაამხიარულა ვეება ტორტმაც, რომელიც საჰაერო ბურთად იყო „გამოძერწილი", ეს პრიზი კი, რაღა თქმა უნდა, ყველას ერგო.



ვლადიმერ სამარღანიშვილი

ამ ჩემპიონატში თავი მასპინძლებმაც გამოიჩინეს. რევაზ უთურგაულმა, როგორც გუშინ ვიუწყებოდით, საერთო პირველობაში მეორე ადგილი დაიკავა, ვლადიმერ სამარღანიშვილმა კი, ვისაც შეჯიბრებამდე პილოტის მოწმობა გადასცეს, „ოქროს საწმისი" მოიპოვა და ჯილდოდ უშველებელი ხმალიც მიიღო.

ბოლოს რევაზ უთურგაული შარდენზე შეკრებილ შინაურ თუ მოწვეულ საძმოს დაპირდა, მომავალში ქართველებს უთვალავი ბურთიც რომ გვქონდეს, ეს ჩემპიონატი კვლავინდებურად ყველასთვის ღიად დარჩებაო.

**ავთანდილ ჟყვიშელი**

# შარაპოვასთვის მოსკოვი უცხოა



**მარია შარაპოვასთვის** მოსკოვი ძალიან უიღბლო ქალაქი ყოფილა. რუსეთის დედაქალაქში მაშას მაგრად უჭირს თამაში — კრემლის თასზე მესამედაა, მაგრამ აქ სამჯერაც არ უმარჯვია. შარაპოვამ გუშინაც საზიზღრად ითამაშა რუსული პუბლიკის თვალწინ და ვიქტორია აზარენკასთან პირწმინდად დამარცხდა. რუსმა პრიმამ მხოლოდ პირველ სეტში შეძლო მეტ-ნაკლებად ხეირიანად თამაში, თუმც ტაიბრეიკზე მაინც დამარცხდა, მეორე პარტიაში კი ბელარუსის უპირატესობა აშკარა იყო და მან მხოლოდ ორი გეიმი დაუთმო მსოფლიოს მეოთხე ჩოგანს.

შარაპოვასთვის წლევანდელი სეზონი მართლაც ძალიან უიღბლო გამოდგა. მაშა სულ უფრო ცუდად ჩოგნაობს და უკვე ნებისმიერი გამარჯვებაც კი ლამისაა, სანატრელი გაუხდეს ასე თუ გააგრძელა, შანსია, წლის შემაჯამებელ ტურნირზეც ვერ მოხვდეს.

შარაპოვას გარდა კრემლის თასს ამელი მორესმოც დაემშვიდობა, თუმც ამას ადგილობრივები ოდნავადაც არ დაუმწუხრებია, რადგან ფრანგი ვერა ზვონარიოვასთან დამარცხდა — რუსმა მხოლოდ მერვე ცდიდან შეძლო ამელის წაქცევა. მორესმო ისევ სუსტმა ფიზიკურმა ფორმამ დაალალატა — კარგად კი დაიწყო, მაგრამ მეორე სეტიდან ფეხებს ძლივსღა დაათრევდა კორტზე და ამიტომაც მოუწევს მოსკოვიდან აბარგება.

სახლის გზას კიდევ ერთი ფრანგი, მარიონ ბარტოლიც გაუყენეს, რომელსაც ასევე რუსი და ასევე ვერა, ოღონდ დუშევინა მოერია. მეოთხედფინალში კიდევ ორი მასპინძელი — პირველ ნომრად განთესილი სვეტლანა კუზნეცოვა და ელენა დემენტიევა — გავიდა.

ბანგკოკში კი ტურნირს მთავარი ფავორიტი ელენა იანკოვიჩი გამოეთიშა. სეზონის მიწურულს სერბი აშკარად გადაღლილია და ამიტომაც სულ უფრო ხშირად ვერ ახერხებს მატჩის ბოლომდე ჩამთავრებას. ტაილანდშიც ასე მოხდა, როცა ბალკანელმა ძი იანთან საათნახევრიანი ჭიდილის შემდეგ სეტები გაიყო, მაგრამ ისე იყო გასავათებული, რომ გადამწყვეტი პარტიის თამაშზე უარი თქვა.

კაცთა ტურნირებიდან ასევე კრემლის თასით დავიწყოთ, სადაც პირველი წრე სამივე რუსმა ბობოლამ გადალახა — ნიკოლაი დავიდენკომ, მიხაილ იუჟნიმა და მარატ საფინმა თავისი გულშემატკივრები გაახარეს. აი, დმიტრი ტურსუნოვი კი, რომელიც მეოთხედფინალის საგზურს უმიზნებდა, რადეკ შტეპანეკმა გააკავა. ისე, ამ ჩეხმა რუსებზე ხელი მაგრად გაიწაფა — პირველ წრეში ხომ მან თეიმურაზ გაბაშვილი დასცა.

ფავორიტებმა ვენაშიც იჩაუქეს. ნოვაკ ჯოკოვიჩს ცოტა კი გაუჭირდა რობი ჯინეპრისთან, პირველ სეტს აგებდა კიდეც, მაგრამ საქმის გაჯანჯლებას თავი აარიდა და ამერიკელი მაინც ორ სეტში გააკრა ბეჭებზე. ავსტრიაში მეორე ნომრად განთესილი ფერნანდო გონსალესი კი უკვე სულაც მეოთხედფინალშია — საამისოდ ჩილელს ირჟი ვანეკთან გამკლავება მოუწია.

სტოქჰოლმური ამბებიდან ჯეიმს ბლეიკის წარმატებული სტარტი გამოვყოთ. ამერიკელი შვედეთში ტიტულის დასაცავადაა ჩასული — თან შავტუხა იანკი სკანდინავიაში ერთხელაც არ დამარცხებულა და ამ ტრადიციის გაგრძელებას წლეულსაც გეგმავს. თუმც ისიც ვთქვათ, რომ ბლეიკი გუშინ ძალიან ახლოს იყო მარცხთან, როცა ვეტერანმა მასპინძელმა იონას ბიორკმანმა ნამდვილი ომი გაუმართა მომხვდურს, მაგრამ გადამწყვეტ სეტში ამერიკელმა უფრო იყოჩაღა და მეორე წრის საგზურიც გაინაღდა.

ტრავმით გამოწვეული ექვსთვიანი იძულებითი შესვენების შემდეგ შთამბეჭდავად დაუბრუნდა კორტს მარიო ანჩიჩი. ხორვატმა ამირ დელიჩს გადაურბინა და ახლა ალბერტ მონტანიესს შეხვდება.

**ქახა ლომჯარია**

**კაცები. მოსკოვი. რუსეთი. ხალიჩა (დარბაზი). საპრიზო 1 000 000 $**

### პირველი წრე

ნიკოლას ლაპენტი (ეკვადორი) — ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) 3:6 6:3 6:2; მარატ საფინი (რუსეთი) — დენის მაკუცევიჩი (რუსეთი) 7:6 7:5; იანკო ტიპსარევიჩი (სერბეთი) — სერხიო როიტმანი (არგენტინა) 3:6 6:4 6:4; მიხაილ იუჟნი (2, რუსეთი) — ერნესტ გულბისი (ლატვია) 6:3 6:2; მიხაელ ბერერი (გერმანია) — ხოსე აკასუსო (არგენტინა) 6:7 7:5 6:4

### მეორე წრე

პოლ-ანრი მატიე (4, საფრანგეთი) — იგორ კუნიცინი (რუსეთი) 6:3 6:4; ფილიპ კოლშრაიბერი (8, გერმანია) — მარინ ჩილიჩი (ხორვატია) 7:6 1:6 6:4 რადეკ შტეპანეკი (ჩეხეთი) — დმიტრი ტურსუნოვი (7, რუსეთი) 3:6 6:3 6:1; ფლორენ სერა (საფრანგეთი) — კრისტოფ ვლიგენი (ბელგია) 6:7 6:4 6:2

**კაცები. ვენა. ავსტრია. ჰარდი (დარბაზი). საპრიზო 642 750 €**

### პირველი წრე

ნოვაკ ჯოკოვიჩი (1, სერბეთი) — რობი ჯინეპრი (აშშ) 6:3 6:4; მარდი ფიში (აშშ) — ნიკოლას ალმაგრო (ესპანეთი) 6:7 6:2 6:4; სტანისლას ვავრინკა (შვეიცარია) — მარკ ჟიკელი (საფრანგეთი) 4:6 6:3 6:4; დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) — სტეფანო გალვანი (იტალია) 6:3 7:6

### მეორე წრე

ფერნანდო გონსალესი (2, ჩილე) — ირჟი ვანეკი (ჩეხეთი) 6:3 6:4

**კაცები. სტოქჰოლმი. შვედეთი. ჰარდი (დარბაზი) საპრიზო 680 250**

### პირველი წრე

ჯეიმს ბლეიკი (1, აშშ) — იონას ბიორკმანი (შვედეთი) 6:7 7:5 6:3; პიტერ ლუჩაკი (ავსტრალია) — ბენჯამინ ბეკერი (გერმანია) 2:6 6:3 6:4; იარკო ნიემინენი (6, ფინეთი) — ტობიას კამკე (გერმანია) 6:1 6:2; ტომას იოჰანსონი (შვედეთი) — ხუან მარტინ დელ პოტრო (არგენტინა) 6:4 6:0; მარიო ანჩიჩი (ხორვატია) — ამირ დელიჩი (აშშ) 6:1 6:4; ბიორნ რენკვისტი (შვედეთი) — ვინსენტ სპადეა (აშშ) 6:4 6:4; ხუან მონაკო (5, არგენტინა) — ერვინ ელესკოვიჩი (შვედეთი) 6:3 6:3; ფილიპ პრპიჩი (შვედეთი) — ოსკარ ერნანდესი (ესპანეთი) 6:2 7:6; ალბერტ მონტანესი (ესპანეთი) — როჰან ბოპანა (ინდოეთი) 7:6 6:1; ტომი ჰაასი (4, გერმანია) — ოლივიე როხუსი (ბელგია) 6:4 6:1; ივო კარლოვიჩი (7, ხორვატია) — ნიკოლას მასუ (ჩილე) 7:6 6:7 6:4

**ქალები. მოსკოვი. რუსეთი. ხალიჩა (დარბაზი). საპრიზო 1 340 000 $**

### პირველი წრე

ვერა ზვონარიოვა (რუსეთი) — ამელი მორესმო (6, საფრანგეთი) 4:6 6:3 6:4; დინარა საფინა (რუსეთი) — მარტინა მიულერი (გერმანია) 6:1 6:3

### მეორე წრე

სვეტლანა კუზნეცოვა (1, რუსეთი) — გიზელა დულკო (არგენტინა) 3:6 6:2 6:4; ვერა დუშევინა (რუსეთი) — მარიონ ბარტოლი (5, საფრანგეთი) 2:6 6:0 6:4; ელენა დემენტიევა (რუსეთი) — პატი შნიდერი (7, შვეიცარია) 6:3 6:4; ვიქტორია აზარენკა (ბელარუსი) — მარია შარაპოვა (2, რუსეთი) 7:6 6:2

**ქალები. ბანგკოკი. ტაილანდი. ჰარდი. საპრიზო 200 000 $**

### პირველი წრე

ვანია კინგი (აშშ) — ჯილ კრეიბასი (აშშ) 6:1 3:6 6:2; იუნ-იან ჩენი (ტაივანი) — მაგდალენა რიბარიკოვა (ჩეხეთი) 6:3 6:3; ძი იანი (ჩინეთი) — ელენა იანკოვიჩი (1, სერბეთი) 6:4 6:7 (უარი)

### მეორე წრე

კამილ პინი (საფრანგეთი) — კლარა ზაკოპალოვა (ჩეხეთი) 6:3 7:6; ფლავია პენეტა (7, იტალია) — კეისი დელაკუა (ავსტრალია) 2:6 6:3 7:6

---

**წლეულს მსოფლიო ჩოგბურთის მესვეურები ახალი სერიოზული პრობლემის წინაშე დადგნენ — საუბარია კორუფციაზე, ჩაწყობილ თამაშებზე, რაც სპორტის ყველა სახეობის უდიდესი თავის ტკივილია. ეს ამბავი სიახლე არც ჩოგბურთისთვისაა, მაგრამ ამ სეზონში განსაკუთრებულად ბევრჯერ გამოითქვა ეჭვი, რომ ესა თუ ისე მატჩი ჩაწყობილი ანაც გაყიდული იყო**

# მიშრომიმ ჩაწყობა ჩაშშა

## ჩოგბურთის თავების ახალი საფიქრალი

**ყველაზე** ხმაურიანი მაინც აგვისტოს დასაწყისში ვარშავის ტურნირზე მომხდარი ფაქტი იყო, როცა პრეტენზიები ნიკოლაი დავიდენკოს წაუყენეს. მაშინ რუსი, რომელიც მსოფლიო რეიტინგში მე-4 პოზიციაზეა, არგენტინელ მარტინ ვასალო არგუელოსთან დამარცხდა, რამაც ბევრი დააეჭვა — ჯერ ერთი, მოსკოველს პირველი სეტი ჰქონდა მოიგო და მერე აშკარად უკლო, მესამე პარტია კი სულაც არ ჩაამთავრა და 1:2-ზე ტრავმის მომიზეზებით თამაშის გაგრძელებაზე უარი განაცხადა. იმ შეხვედრის მეორე დღეს ბრიტანულმა ონლაინ-პორტალმა „ბეტფაირ"-მა ამ მატჩზე გაკეთებული ფსონები გააუქმა, რაც ფაქტობრივად დავიდენკოს დადანაშაულებას ნიშნავდა.

„ბეტფაირ"-ის წარმომადგენლებმა ეს იმით ახსნეს, რომ იმ მატჩზე ფსონის სახით დაახლებით 7 მილიონ დოლარამდე შევიდა — ეს კი ჩვეულზე ათჯერ მეტი ყოფილა. თან უმეტესობა არგუელოს მოგებაზე დებდა. მართალია, დავიდენკო კატეგორიულად უარყოფს ამ ბრალდებებს, მაგრამ ოქტომბერში მაინც მოუწევს ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის (ITF) წარმომადგენლების კითხვებზე პასუხის გაცემა.

თითქმის ანალოგიური შემთხვევა ორიოდ კვირის წინაც იყო — ამჯერად ეჭვქვეშ კალკუტას ქალთა ტურნირზე ბელარუს ტატიანა პუჩკოვასა და უკრაინელ მარია კორიცევას მატჩი აღმოჩნდა. მაშინ კორიცევამ იოლად იმარჯვა, ხოლო საეჭვო ის იყო, რომ უმეტესობა ფსონს ჩოგბურთში თითქმის უცნობ უკრაინელზე ჩავიდა.

სულ ცოტა ხნის წინ ნაკლებად ცნობილი ბელგიელი ჟილ ელგენერი გამოვიდა განცხადებით, რომ 2005 წელს უიმბლდონის პირველ წრეში წაგებისთვის 100 000 ათასი ევრო შესთავაზეს.

ამ ყველაფრის აპოგეად კი ენდი მიურეის გუშინწინდელი გამოსვლა იქცა, როცა ბრიტანეთის ნომერ პირველმა ჩოგანმა ხმამაღლა განაცხადა) ჩაწყობილი თამაშები ჩოგბურთში სიახლე არ არის და ამის შესახებ ნებისმიერ ჩოგბურთელს მოეხსენებაო:

„ეს ბევრს აღიზიანებს, მაგრამ ამასთანავე ყველამ იცის, რომ ჩაწყობილი თამაშები ჩოგბურთისთვის სიახლე არ არის. თან ძნელია, დაამტკიცო, რომელი მატჩია ჩაწყობილი, ან ჩოგბურთელი დაადანაშაულო რამეში. ყველას შეუძლია ბოლო მომენტამდე ძლიერად თამაში, მაგრამ გადამწყვეტი გეიმების დროს ერთი-ორჯერ საჭირო-ზე ძლიერად დაარტყამს, ანაც ორიოდ ორმაგ შეცდომას დაუშვებს და საქმეც გათავებულია".

ყოველივე ამის შემდეგ მსოფლიო ჩოგბურთის პირველმა პირებმა ჩათვალეს, რომ სასწრაფოდ ამოქმედება იყო საჭირო. ITF-მა, ATP-იმ, WTA-მ და „დიდი სლემების" კომიტეტმა გადაწყვიტეს სპეციალური ქვეგანყოფილების შექმნა, რომლის მთავარი საზრუნავიც ჩაწყობილი თამაშების გამოვლენა და მათზე რეაგირება იქნება.

„ჩვენ ჩოგბურთი უნდა გავწმინდოთ სიბინძურისგან" — განაცხადა შთაის წარმომადგენელმა ბილ ბებკოკმა. მან ასევე დაამატა, რომ ჩოგბურთის ასოციაცია კონსულტაციებს გადის სპორტის იმ სახეობების სპეციალისტებთან, ვისაც კორუფციასთან ბრძოლის მეტი გამოცდილება აქვს (დოღი და კრიკეტი).

ასე რომ, ჩოგბურთში კორუფციის წინააღდეგ ჯვაროსნული ლაშქრობა დაიწყეს. თუმც გამოვა თუ არა აქედან რაიმე ხეირიანი, მხოლოდ დრო აჩვენებს.

**ქახა ლომჯარია**

# ქართველები და გერმანელები

**ფრანგული** ჟო ლეს ტურის მაგარსაფარზე ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით ქალთა 50-ათასიანი ტურნირი ტარდება და მასში საქართველოს საუკეთესო ჩოგბურთელი მაკა ჩახნაშვილიც მონაწილეობს.

პირველ წრეში მაკამ იოლად — 6:3 6:4 დაამარცხა ტურნირზე „ვაილდ ქარდით", ანუ ორგანიზატორთა მიწვევით მოთამაშე ფრანგი, 18 წლისა და რეიტინგში 766-ე ადგილზე მყოფი ესტელ ჟუსარი. ჩვენებურის მეორე მეტოქე მე-5 ნომრად განთესილი ჯულია ჯორჯესია. ამ 18 წლის გერმანელმა, ვისაც კლასიფიკაციაში კარიერის უმაღლესი, 134-ე პოზიცია უჭირავს, პირველ წრეში 7:5 6:3 მოუგო ბელარუს ეკატერინა ზეპალევიჩს.

ჩახნაშვილისგან განსხვავებით, პირველივე წრეში დამარცხდა ჩვენი ქალთა ჩოგბურთის მეორე ნომერი ანა ტატიშვილი, ვინც ამერიკის შეერთებულ შტატებში, კალიფორნიული სან ფრანცისკოს ჰარდზე მიმდინარე 50-ათასიან ტურნირში მონაწილეობდა.

ანას მეტოქედ ვეტერანი გერმანელი, 30 წლისა და მიმდინარე რეიტინგში 198-ე საფეხურზე მყოფი ანჯელიკა როეში ჰყავდა და გერმანელმა სამ სეტში — 7:6 2:6 6:4 იძალა.


სიდნეის ოლიმპიადაზე მერიონ ჯონსი დოპინგით დაფრინავდა

# მერიონ ჯონსმა მედლები ჩამოარიგა
## მერლინ ოტის კიდევ ერთი ბრინჯაო

**სიდნეის** ოლიმპიური თამაშების სამგზის ჩემპიონმა, ამერიკელმა მძლეოსანმა ქალმა მერიონ ჯონსმა, რომელმაც გასულ პარასკევს აღიარა, რომ 1999-2001 წლებში, ანუ სიდნეის თამაშებამდე და მას შემდეგაც, სისტემატურად იღებდა სტეროიდებს, ამ აღსარების შემდეგ სპორტიდან წასვლის შესახებაც განაცხადა და ამავდროულად, თავისი ნებით, ყოველგვარი ძალდატანებისა და სასამართლოების გარეშე დააბრუნა სიდნეიში მოპოვებული სამი ოქროსა და ორი ბრინჯაოს მედალი.

ჯონსმა ისიც აღიარა, რომ 2003 წელს, როდესაც მის მიერ აკრძალული პრეპარატების შესაძლო გამოყენებასთან დაკავშირებით ძიება მიდიოდა, სასამართლოს ცრუ ჩვენებები მისცა.

ეს ყველაფერი მერიონმა ნიუ იორკის შტატის სასამართლოს განუცხადა და ამავდროულად პატიება სთხოვა მეგობრებს, ოჯახსა და ქომაგებს. ჯონსი სასამართლომ თავდებით გაანთავისუფლა და ამ საქმესთან დაკავშირებული მორიგი მოსმენა კი 11 იანვარს გაიმართება.

ახლა, როდესაც მერიონ ჯონსმა თავად თქვა უარი 2000 წლის სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე მოპოვებულ ხუთ მედალზე და საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმაც გააუქმა ამერიკელი მძლეოსნის მიერ ნაჩვენები ყველა შედეგი, ავტომატურად მოხდა მედლების გადანაწილება იმ სახეობებში, რომლებშიც ჯონსი სიდნეიში გამოდიოდა.

ავსტრალიაში მერიონმა ოქროს მედლები მოიპოვა 100 და 200 მეტრზე სირბილში და 4+400 მეტრზე ესტაფეტაში, ხოლო სიგრძეზე ხტომასა და 4+100 მეტრზე ესტაფეტაში მესამე იყო. ბუნებრივია, ხუთივე ეს შედეგი გაუქმდა და ამერიკელის (ესტაფეტებში ამერიკელთა ნაკრებების) უკან მყოფებმა თითო საფეხურით მაღლა აიწიეს.

ამ გადანაცვლებების შედეგად, ხსენებულ სახეობებში 2000 წლის ოლიმპიადის პრიზიორთა სია ასე გამოიყურება.

100 მ: 1. ეკატერინა ტანუ (საბერძნეთი) 11,12; 2. ტანია ლოურენსი (იამაიკა) 11,18; 3. მერლინ ოტი (იამაიკა) 11,20

200 მ: 1. პაულინა დევისი (ბაჰამის კუნძულები) 22,27; 2. სუსანტიკა ჯაიასინგხი (შრილანკა) 22,28; 3. ბევერლი მაკდონალდი (იამაიკა) 22,35

4X100 მ: 1. ბაჰამის კუნძულები (პაულინა დევისი, ჩანდრა სტარაპი, სევატელა ფაინსი, დები ფერგიუსონი) 41,95; 2. იამაიკა (ვერონიკა კემპბელი, ტანია ლოურსენი, ბევერლი მაკდონალდი, მერლინ ოტი) 42,13; 3. საფრანგეთი (ლინდა ფერგა, მურიელ ურტი, დაბე დია, კრისტიან არონი) 42,42

4X400 მ: 1. იამაიკა (ლორეინ გრეჰემი, სანდი რიჩარდსი, კატერინა სკოტ-პომალესი, დეონ ჰემინგსი) 3.23,25; 2. რუსეთი (სვეტლანა გონჩარენკო, ოლგა კოტლიაროვა, ირინა პრივალოვა, იულია სოტნიკოვა) 3.23,46; 3. ნიგერია (ოლაბისი აფალაბი, ჩარიტი ოპარა, როზმარი ოკაფორი, ფალილოი ოგუნკოია) 3.23,80

**სიგრძეზე ხტომა**: 1. ჰაიკე დრექსლერი (გერმანია) 6,99; 2. ფიონა მეი (იტალია) 6,92; 3. ტატიანა კოტოვა 6,83.


მერლინ ოტი

როგორც ვხედავთ, ჯონსის აღსარებით ყველაზე მეტად ბერძენმა ეკატერინა ტანუმ, ბაჰამის კუნძულელმა პაულინა დევისმა და იამაიკის საესტაფეტო გუნდმა იხეირეს — ისინი ოლიმპიურ ჩემპიონებად გამოცხადდნენ. არ უნდა დაგვავიწყდეს მერლინ ოტიც — კარიბეთის დედოფლად წოდებული ლეგენდარული იამაიკელი მოსკოვის ოლიმპიადიდან, ანუ 1980 წლიდან მოყოლებული, ზედიზედ ხუთ თამაშებზე (მოსკოვი-1980, ლოს ანჯელესი-1984, სეული-1988, ბარსელონა-1992, ატლანტა-1996) იყო მედალოსანი ინდივიდუალურ სახეობებში (100 და 200 მეტრზე სირბილში) და აი, ჯონსის დისკვალიფიკაციის შემდეგ ოტის სიდნეის თამაშების ინდივიდუალური ბრინჯაოც ერგო 100 მეტრზე სირბილში. ერთი კია — მერლინ ოტის სამედლო ყულაბაში ეგრეც ვერ ჩაეშვა ოლიმპიური ოქრო. თავის ექვს ოლიმპიადაზე იამაიკელი ჩემპიონი ერთხელაც ვერ გახდა. ის მუდმივად პრიზიორი იყო.



## საქართველოს მე-18 ჩემპიონატი
### კაცები. მეორე წრე

10 ოქტომბერი

**სტუ-თელავი 44:17 ქუთაისი**

სტუ-თელავი: გ. ტორონჯაძე, სამყურაშვილი, თევზაძე, ა. ყიფიანი (გაიტანა 13 გოლი), ი. ჩიქოვანი (7), გ. კობახიძე (6), ბერძენიშვილი (6), გოგალაძე (6), ზაალიშვილი (5), ქობელაშვილი (1)

ქუთაისი: შიშინაშვილი, ნიქაბაძე, სიხარულიძე, დოლაკიძე (4), ნიკურაძე (4), გობეჯიშვილი (4), ჯავახაძე (1), თუთბერიძე (1), ადამია (1), ჩხეიძე (1), ჯანაშია (1), კიზირია, თათვიძე, ტულუში

მსაჯები: ინა ჭკუასელი, ნინო ელოშვილი

დელეგატი: თამაზ ჩხარტიშვილი

**თბილისი 51:21 მამული**

თბილისი: ანდრიაძე, გონჩაროვი, მაისურაძე (14), ქარდავა (12), წივწივაძე (6), ი. ტორონჯაძე (5), ქირია (4), ჟღენტი (3), სამარლანიშვილი (2), ყაველაშვილი (2), ო. ქუთათელაძე (2), ლალანიძე (1), გელაშვილი

მამული: ვახანია, მ. ქუთათელაძე (5), ბიდოდაშვილი (4), ჩაჩანიძე (4), კერესელიძე (4), გველესიანი (1), თეთრუაშვილი (1), კვერნაძე (1), ხონელიძე (1)

მსაჯები: ნინო ელოშვილი, ინა ჭკუასელი

დელეგატი: ვახტანგ ბერიაშვილი

# მამულს ნერვებმაც უმტყუნა

**საქართველოს** კაც ხელბურთელთა ჩემპიონატში გუშინდელი დღეც ლოგიკური შედეგებით დასრულდა, რაც გასაკვირი არავისთვის არ უნდა იყოს. „სტუ-თელავის“ და „თბილისის“ მოთამაშეები, თავიდანვე გამარჯვებაში დარწმუნებულნი, მთავარ აქცენტს იმაზე აკეთებენ, რომ ბომბარდირი მათი გუნდელი გახდეს და ამისთვის მონდომებას ნამდვილად არ აკლებენ. „სტუ“-ში ასეთია ამირან ყიფიანი, ვინც გუშინ 13 ბურთით გამოირჩა და მეგოლეებს სოლიდური სხვაობით გაექცა (80 გოლი დაუგროვდა და მდევარ ქარდავას 33-ით უსწრებს). ქუთაისელებთან თამაშში „სტუ-თელავი“ თავიდანვე 5:0 დაწინაურდა და საქმის ბოლომდე მიყვანა არც მერე გასჭირვებია.

„თბილისი“ „მამულთან“ თავს ნამდვილად არ იკლავდა, მით უფრო, ამის საჭიროება არ იყო, მეტოქეს ისედაც ჯაბნიდნენ, მაგრამ საქმე ის არის, რომ ვერც ნახევარი ძალით მოთამაშე მოწინააღმდეგესთან გამოსდიოდათ რაიმე სახეირო მამულელებს. ან კი რა სახეიროზეა საუბარი, როცა უკვე მეორე დღეა, მოედანზე გასაყვან ხელბურთელებს ძლივს აგროვებენ. თითქოს პრობლემები არ აკლდათ, მსაჯმა ორი მოთამაშე წითელი ბარათით გაუგდო მეორე ტაიმში და სულაც სათადარიგოს გარეშე დარჩნენ. თუმცა ესეც თავისთავს უნდა დააბრალონ, რადგან ორივე შემთხვევაში არასპორტული საქციელისთვის დაისაჯნენ. ხელბურთელებმა ყვითელი ბარათის მიღების შემდეგ შეიგინეს და...

სხვა მხრივ გამოსარჩევი მა[illegible]ლელი ხონელიძის ამბავია. იგი მეკარეა და მოედნის მოთამაშეობა იძულებით მოუხდა, მას შემდეგ, რაც კაცნაკლულნი დარჩნენ. მეკარეს თავი არ შეურცხვენია, პირიქით, გოლიც გაიტანა.

დღეს უკვე ჩემპიონატის ფავორიტების ჯახია და იმედი ვიქონიოთ, რომ უკეთესი თამაში იქნება და ჩვენც მეტი გვექნება სათქმელი.

**ლევან მაისურაძე**

**სატურნირო ვითარება**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სტუ-თელავი | 5 | 0 | 0 | +114 | 10 |
| ხკ თბილისი | 4 | 0 | 1 | +114 | 8 |
| სსსუ-მამული | 1 | 0 | 4 | -93 | 2 |
| ქუთაისი | 0 | 0 | 5 | -135 | 0 |



## რეგულარული ჩემპიონატი

9 ოქტომბერი

**ტორონტო 1:7 კაროლინა**

1:2 0:2 0:3

1:0 მაკეიბი (5), 1:1 უილიამსი (7), 1:2 სტილმანი (20), 1:3 კალენი (32), 1:4 უიტნი (38), 1:5 უოკერი (42), 1:6 ჰემლტონი (46), 1:7 სტაალი (55)


AFP


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორქოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო ხვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქანქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge